

SAMTSKHE-JAVAKHETI AND BATUMI REGION IN THE “KARS GOVERNMENT’S PLANS”

სამცხე-ჯავახეთი და ბათუმის ოლქი „ყარსის მთავრობის“ გეგმებში¹

ROIN KAVRELISHVILI

Doctor of History, Professor of Samtskhe-Javakheti State University; Visiting Professor of Caucasus University of Kars
Georgia, Akhaltsikhe, Rustaveli St. 92, +995 599 58 84 61; +90 538 031 18 20;
roinkav@gmail.com ORCID ID: 0000-0001-5829-8557

NUGZAR ZOSIDZE

Doctor of History, Associate Professor of Batumi
Georgia, Batumi, Shota Rustaveli State University, E. Ninoshvili st. N35
+995 595 3545 55; n.zosidze@bsu.edu.ge ORCID ID: 0000-0001-5829-8557

Abstract

The states involved in World War I had their own interests. Of course, the Ottoman state was no exception, one of whose main goals was to return the territories lost as a result of the Russo-Turkish war of 1977-1978. As a result of the February Revolution and then the Bolshevik coup in Russia, the leaders of the Ottoman state had a chance to achieve their goals. The temporary armistice of Erzincan, signed on December 5 (18), 1917, allowed the Ottomans to focus more on the progress of the negotiations in Brest-Litovsk. Where, on December 2 (15), a temporary armistice had already been signed between the representatives of the Central Powers and Soviet Russia. The terms of the Treaty of Brest-Litovsk of March 3 (AD) opened up a wide area of operation for the Ottoman Empire in the Caucasus, which was clearly evident at the Trabzon and Batumi conferences. As a result of the Treaty of Batumi on June 4, 1918, the Ottoman Empire ceded the Batumi and Kars regions, the Akhalkalaki and Akhaltsikhe districts, the Surmene district, three-quarters of the Alexandropol and Echmiadzin districts, one-fifth of the Sharur-Daralagez district, and others. The Ottoman Empire held a referendum in the regions of Kars, Batumi, and Ardahan, the results of which were presented by a delegation from the three sanjaks to the Sultan Mehmed VI Vahdeddin and demanded the annexation of these territories to the Ottoman Empire. This request was granted by the Sultan. Regarding which, an official rescript of the Fadishah was issued. The Georgian government protested the referendum and officially appealed to the Ottoman army command. However, their protest was ignored.

This situation did not last long. The Ottoman government, defeated in the war, was forced to abandon the occupied regions of Akhaltsikhe and Akhalkalaki, along with the Batumi, Kars, and Ardahan regions, and withdraw its troops beyond the 1914 Russian-Turkish border.

Given the current situation, the Ottoman military leadership of the Caucasus Front attempted to maintain its influence over the evacuated territories. He supported the creation of pro-Ottoman local "governments" in the aforementioned territories, inhabited by Christians and Muslims. Which resulted in the creation of the "South-West Caucasus Republic", Which included

¹ სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის ფარგლებში (ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადმინისტრაციული მმართველობა (1878-1921), პროექტის კოდი: FR-22-12-278.

the Batumi region, Akhaltsikhe and Akhalkalaki regions from the territories of the Democratic Republic of Georgia. The situation that arose led to an armed confrontation between the military units of the Democratic Republic of Georgia and the unrecognized Southwestern Caucasus Republic. The Democratic Republic of Armenia had a more intense military confrontation with the Southwestern Caucasus Republic. The British, whose mandate extended to the Caucasus, even organized the existence of the Southwestern Caucasus Republic for a certain period of time. Ultimately, the idea of supporting Armenia and a united Russia prevailed in the ruling circles of England, which was followed by the liquidation of the Southwestern Caucasus Republic by the British.

Goal: The aim of this work is to present the political events and results achieved in the South-West Caucasus at the end of 1918 and the first quarter of 1919, based on a review, analysis and comparison of literature and sources published in various languages related to the history of the government of the South-West Caucasus Republic and its relations with the democratic government of Georgia. This will allow readers interested in the history of the region to critically assess what happened.

Keywords: Georgia; Turkiye; Samtskhe-Javakheti; Batumi region; Kars government.

როინ ყავრელიშვილი

ისტორიის დოქტორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ყარსის კავკასიის უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი
საქართველო, ახალციხე, რუსთაველის ქ. 92. +995 599 58 84 61; +90 538 031 18 20.
roinkav@gmail.com ORCID ID: 0000-0001-5829-8557

ნუგზარ ზოსიძე

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
საქართველო, ბათუმი ე. ნინოშვილის ქ. N35, +995 595 3545 55;
n.zosidze@bsu.edu.ge ORCID ID: 0000-0001-5829-8557

აბსტრაქტი

პირველ მსოფლიო ომში ჩაბმულ სახელმწიფოებს საკუთარი ინტერესები გააჩნდათ. ცხადია, გამონაკლისი არც ოსმალეთის სახელმწიფო იყო, რომლის ერთ-ერთ მთავარ მიზანს 1977-1978 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება წარმოადგენდა. რუსეთში მომხდარი ჯერ თებერვლის რევოლუციის და შემდეგ ბოლშევიკური გადატრიალების შედეგად, ოსმალეთის სახელმწიფოს მესვეურებს დასახული მიზნების შესრულების შანსი გაუჩნდათ. 1917 წლის 5 (18) დეკემბერს დადებულმა ერზინჯანის დროებითმა ზავმა ოსმალეთს ბრესტ-ლიტოვსკში მიმდინარე მოლაპარაკებების მსვლელობაზე მეტი ყურადღების გადატანის საშუალება მისცა. სადაც, 2 (15) დეკემბერს ცენტრალურ სახელმწიფოებსა და საბჭოთა რუსეთს წარმომადგენლებს შორის დროებითი ზავი უკვე ხელმოწერილი იყო. 3 მარტის (ახ. სტ) ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობებმა ოსმალეთს კავკასიაში მოქმედების ფართო არეალი გაუხსნა, რაც კარგად გამოჩნდა ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციებზე. 1918 წლის 4 ივნისის ბათუმის ზავის შედეგად ოსმალეთს გადაეცა ბათუმისა და ყარსის ოლქები, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები, სურამალი ნის მაზრა, ალექსანდროპოლისა და ეჩმიადინის მაზრების სამი მეოთხედი, შარურ-დარალაგების მაზრის ერთი მეხუთედი და სხვა. ოსმალეთმა ყარსის, ბათუმის და არტანის მაზრებში ჩაატარა რეფერენდუმი, რომლის შედეგებიც სამი სანჯაყიდან

ჩასულმა დელეგაციამ სულთან მეჰმედ VI ვაჰიდედინს წარუდგინა და ამ ტერიტორიების ოსმალეთთან შეერთება მოითხოვა. სულთნის მიერ ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. რასთან დაკავშირებითაც სულთნის ოფიციალური რესკრიპტი გამოიცა. საქართველოს მთავრობამ აღნიშნული რეფერენდუმი გააპროტესტა და ოფიციალურადაც მიმართა ოსმალეთის არმიის მეთაურობას. თუმცა, მათი მხრიდან ეს პროტესტი იგნორირებულ იქნა.

ეს სიტუაცია დიდხანს არ გაგრძელებულა. ომში დამარცხებული ოსმალეთის მთავრობა იძულებული გახდა ბათუმის, ყარსის და არტაანის ოლქებთან ერთად დაკავებული ახალციხის და ახალქალაქის მხარეები დაეტოვებინა და საკუთარი ჯარები 1914 წლის რუსეთ-თურქეთის საზღვრის იქით გაეყვანა.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, კავკასიის ფრონტის ოსმალეთის სამხედრო ხელმძღვანელობა ევაკუირებულ ტერიტორიებზე საკუთარი გავლენის შენარჩუნებას შეეცადა. მან მხარი დაუჭირა ქრისტიანებით და მუსლიმებით დასახლებულ ზემოაღნიშნულ ტერიტორიებზე ოსმალეთის მომხრე ადგილობრივი „მთავრობების“ შექმნას. რასაც, შედეგად „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის რესპუბლიკის“ შექმნა მოჰყვა, რომლის შემადგენლობაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიებიდან ბათუმის ოლქთან ერთად, ახალციხის და ახალქალაქის მხარეებიც მოიაზრებოდა. შექმნილმა ვითარებამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და არაღიარებული სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის რესპუბლიკის სამხედრო შენაერთებს შორის შეიარაღებული დაპირისპირება გამოიწვია. სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის რესპუბლიკასთან უფრო მეტად მძაფრი სამხედრო დაპირისპირება სომხეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰქონდა. ინგლისელებს, რომელთა მანდატი კავკასიაზეც ვრცელდებოდა, სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის რესპუბლიკის არსებობა გარკვეული პერიოდი კიდევ აწყობდათ. საბოლოოდ, ინგლისის მმართველ წრეებში სომხეთის და ერთიანი რუსეთის მხარდაჭერის იდეამ გაიმარჯვა, რასაც ინგლისელთა მიერ სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის რესპუბლიკის ლიკვიდაცია მოჰყვა.

მიზანი: ნაშრომის მიზანია, სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის რესპუბლიკის მთავრობის და საქართველოს დემოკრატიულ მთავრობასთან მისი ურთიერთობის ისტორიასთან დაკავშირებით სხვადასხვა ენაზე გამოცემული ლიტერატურისა და წყაროების მიმოხილვის, ანალიზის და შეჯერების საფუძველზე წარმოჩენილ იქნას 1918 წლის ბოლოსა და 1919 წლის პირველ მეოთხედში სამხრეთ - დასავლეთ კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები და მიღებული შედეგები. რაც, მხარის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს მომხდარის კრიტიკული შეფასების საშუალებას მისცემს.

საკვანძო სიტყვები: საქართველო; თურქეთი; სამცხე-ჯავახეთი; ბათუმის ოლქი; ყარსის მთავრობა,

შესავალი

საკვლევი პრობლემა, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების შემადგენელი ნაწილი, მჭიდროდ უკავშირდება თანადროული ეპოქის მნიშვნელოვან გლობალურ პროცესებს. ცნობილია, რომ ბრესტლიტოვსკის, ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციებზე იხილებოდა სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მომავალი პოლიტიკური სტატუსის საკითხი, რომელიც მომავალში მჭიდროდ დაუკავშირდა ე.წ. „ყარსის მთავრობასა“ და მის პოლიტიკას. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და თურქეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება, ყარსში მომხდარი მოვლენების არა ლოკალურად, არამედ ამიერკავკასიისა და საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ფონზე განხილვის საშუალებას გვაძლევს.

მეთოდები

სტატია შესრულებულია პირველად წყაროების ანალიზის და სპეციალური ლიტერატურის საფუძველზე. კომპლექსურად და სისტემურად გამოყენებული მეთოდებით განხილულ იქნა საისტორიო პროცესები და ადამიანთა საქმიანობა. კვლევის მეთოდოლოგიის ამოსავალი წერტილია ისტორიზმის და ობიექტურობის პრინციპი. საკვლევი თემის ისტორიული ფონი შესწავლილ იქნა შედარებითი ანალიზის მეთოდით.

მსჯელობა და შედეგები

1. ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შემდეგ შექმნილი მდგომარეობა ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქებში.

1917 წლის 2 დეკემბერს (ძვ.სტ) ქალაქ ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა რუსეთის და გერმანიის ბლოკის სახელმწიფოებს შორის მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებები 1918 წლის 3 მარტს (ახ. სტ) ზავით დასრულდა. ცნობილია, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მე-4 მუხლი არ ითვალისწინებდა ბათუმის, ყარსის და არტაანის ვილაეთების ოსმალეთთან უშუალოდ შეერთებას. ამ მხარეების მოსახლეობას, მეზობელ სახელმწიფოებთან შეთანხმებით, თავად უნდა გაერკვია, თუ რომელი სახელმწიფოს შემადგენლობაში სურდა ცხოვრება. ზავის პირობებში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ხსენებული ოკრუგების თვითგამორკვევის პროცესში უპირატესობა ოსმალეთს მიენიჭებოდა (გურული, 2011:90–91).

მაგრამ ოსმალეთმა გამოიყენა რა ჯერ ამიერკავკასიის, ხოლო შემდეგ საქართველოს მთავრობების სისუსტე, სამხედრო ძალით დაიკავა ბათუმის, ყარსის, არტაანის ოლქები და იქ, 1918 წლის 14 ივნისს ჩაატარა რეფერენდუმი. თუმცა, ბრესტის ზავის მეოთხე მუხლში აღნიშნული იყო, რომ რეფერენდუმში მეზობელ სახელმწიფოებს და მაშასადამე, საქართველოსაც უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ ოსმალეთმა ამ პირობის იგნორირება მოახდინა (**ყავრელიშვილი, 1997:61-62**).

პლებისციტამდე ოსმალეთს უკვე დარღვეული ჰქონდა ერზინჯანის ზავი და დაკავებული ჰქონდა ეს ტერიტორიები. ამიტომ, მეზობელი სახელმწიფოები პლებისციტის სამართლიანად ჩატარების გამო ეჭვს გამოთქვამდნენ (**Dayi, 1997:61–66**).

პლებისციტის მოსამზადებლად ოსმალეთის მაშინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა თალათ ფაშამ 1918 წლის 3 ივნისს ედირნეს ვილაეთის სამხარეო ადმინისტრაციას საგანგებო წერილი გაუგზავნა. ვილაეთიდან სტამბოლში გამოძახებულ იქნენ მაღალი თანამდებობის პირები: პოლიციის კომისარი კადირ ეფენდი, პოლიციის გენერალი ჰუსეინ ჰუსნი ეფენდი და ასევე პოლიციის ოფიცერი ისმაილ ეფენდი. ისინი უნდა ჩასულიყვნენ ზემოაღნიშნულ სამ ვილაეთში და ოსმალეთის სახელმწიფოს სასარგებლო აგიტაცია და წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარებინათ (**Koltuk&Sağlam, 2009: 50–51, 80–85**).

სტამბოლის მთავრობამ ზემოაღნიშნულ მხარეებში მეტად წარმომადგენლობითი დელეგაცია მიავლინა: დელეგაციის მეთაური იყო შინაგან საქმეთა მინისტრის მრჩეველი აბდულჰალიკი. წევრები – შაქირ ქესებირი, ნეჯათი, ასაფ თალათი და ჰილმი. აღნიშნული სამი პიროვნება ადგილობრივი მმართველობის საკითხებში ინსპექტორები იყვნენ. დელეგაციაში ჩართული იყვნენ, აგრეთვე, „ერთობის და პროგრესის პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ნაზიმი, საზღვაო მინისტრი ჯემალ ფაშა, საგარეო საქმეთა მინისტრი ჰალილ მენტემე და ბათუმის მხარის გამგებლად დანიშნული ჯემილი (ბილსელი). აღნიშნული პიროვნებების გარდა, ასევე, მრავლად იყვნენ რიგითი მოხელეებიც (**Tansel, 1977: 86–90**).

პლებისციტის ჩატარება დაიწყო 1918 წლის 12 ივნისს. 24 ივლისს დელეგაციის მეთაურმა აბდულჰალიკმა მისი შედეგები სტამბოლის მთავრობას ოფიციალურად

წარუდგინა. 1918 წლის 15 აგვისტოს სულთან ვაჰიდედინს წარუდგა ზემოაღნიშნული სამი სანჯაყიდან ჩასული დელეგაცია და მოითხოვა ბათუმის, ყარსის და არტაანის მხარეების ოსმალეთთან შეერთება. სულთანმა გამოსცა ოფიციალური განკარგულება ზემოაღნიშნული მხარეების ოსმალეთთან შეერთების შესახებ (Dayi, 1997:61–66).

რეფერენდუმის მიხედვით შედგენილი ოქმი გადაეცა სულთან ვაჰიდედინს. სამი სანჯაყიდან ჩასული დელეგაცია სულთანმა 1918 წლის 15 აგვისტოს მიიღო, რასაც სულთნის რესკრიპის გამოქვეყნება მოჰყვა (ყავრელიშვილი, 2002:62).

რესკრიპტის ტექსტის ანალიზის შედეგად ჩანს, რომ ბათუმის, ყარსის და არტაანის მხარეების მიერთება თურქეთის მთავრობას ადრიდანვე ჰქონდა დაგეგმილი. სულთანი სიამაყით იხსენებს ბრესტის ზავის შედეგებს, როგორც ტექსტიდან ირკვევა, ჩასულ დელეგაციას სულთნისათვის წერილობით მიუმართავს და ოსმალეთთან შეერთების სურვილი გამოუხატავს. თავის მხრივ, სულთანი დაეთანხმა ჩასულ დელეგაციას აღნიშნული სამი მხარის ოსმალეთთან მიერთების საკითხთან და სამ სანჯაყში მმართველობის სისტემის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. მან მინისტრთა კაბინეტს ადგილობრივი მოსახლეობის შეხედულებების გათვალისწინებით, საქმის სისრულეში მოყვანა დაავალა (Tansel, 1978:225).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გააპროტესტა პლებისციტის შედეგები. 1918 წლის 1 აგვისტოს საგარეო საქმეთა მინისტრის გვარჯალაძის სახელით და რამიშვილის ხელმოწერით ოსმალეთის მეხუთე არმიის მეთაურს ესად ფაშას პროტესტის წერილი გადაეგზავნა, სადაც ოსმალეთის მთავრობის მხრიდან პლებისციტის ძალდატანების და შერჩევითი მეთოდით ჩატარებაზე იყო ყურადღება გამახვილებული. პასუხად, ესად ფაშამ საქართველოს მთავრობისადმი თავის ოფიციალურ წერილში არ აღიარა დარღვევები და პლებისციტის კანონის ფარგლებში ჩატარება აღნიშნა (Документы и материалы, 1990: 370–372).

1918 6 სექტემბრის დოკუმენტით დასტურდება, რომ პლებისციტის საფუძველზე, ბათუმის, ყარსის და არტაანის მხარეების ოსმალეთის სახელმწიფოსთან შეერთების შესახებ დოკუმენტი (ოქმი), ხელმოწერილი ოსმალეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მრჩევლის მიერ, ოსმალეთის სახელმწიფოს რეგიონული მართვის დეპარტამენტს ინფორმაციის სახით გადაეგზავნა. მრჩეველი განმარტავს, რომ ბათუმის, ყარსის და არტაანის ლივების შეერთება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ საკუთარი მომავლის შესახებ ჩატარებული პლებისციტით განისაზღვრა და ეფუძნებოდა ბრესტის ზავის პირობებს. აღნიშნული ოქმის ნომერი იყო სამი ათას სამას ოცი, რომელიც შეტანილ იქნა ოსმალეთის სულთნის მიერ გამოცემულ 1918 წლის 15 აგვისტოს რესკრიპტში, რის საფუძველზეც სამი სანჯაყი² შეუერთდა ოსმალეთს და ამ მხარეების მართვის ფორმაც შესაბამისი ფორმანით განისაზღვრა (Koltuk&Sağlam, 2009: 50–51, 80-85).

სულთნის მიერ ბათუმის, ყარსის და არტაანის სანჯაყების, ასევე ახალციხის, ახალქალაქის და სურმელის მხარეების ოსმალეთთან შეერთების შესახებ გამოცემული რესკრიპტის შემდეგ, ოსმალეთის პარლამენტის ცხრა წევრისგან შემდგარ კომისიას ზემოაღნიშნულ ტერიტორიებზე ადგილობრივი მმართველობის და სასასამართლო სისტემებისთვის კადრები უნდა შეერჩია. აღნიშნული ფაქტი დასტურდება 1918 წლის 5 სექტემბრის დოკუმენტით. ხსენებული ტერიტორიების ადმინისტრირების ფორმის, სამხედრო ბეგარის და საფინანსო საკითხებთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა მინისტრის

² თურქულ საისტორიო ლიტერატურაში ბათუმის, ყარსის და არტაანის სანჯაყები ელვილე-ი სელასეს სახელითაც მოიხსენიება.

მრჩევლის თამჯდომარეობით ჩატარებულ თათბირზე მიღებული და კომისიის ცხრავე წევრის მიერ ხელმოწერილი გადაწყვეტილება 1918 წლის 11 სექტემბერს მეჯლისში იქნა განხილული და შედგა სათანადო ოქმი. იგი, შემდგომი განხილვისთვის გადაეგზავნა ოსმალეთის მინისტრთა საბჭოს (Koltuk&Sağlam, 2009: 50–51, 80–85).

ოქმში ასახული იყო ბათუმის, ყარსის და არტაანის მხარეებში მისავლენი სახელმწიფო მოხელეების საშტატო განრიგი, მათი სახელფასო განაკვეთი და სხვა ასიგნებანი. ოქმის მიხედვით მოითხოვებოდა წინა კომისიის მიერ 1918 წლის 21 აგვისტოს მოხსენებით ბარათში მითითებული სახელმწიფო მოხელეთა მივლინების ფორმასთან და კვების საკითხებთან დაკავშირებით შესწორებების შეტანა. აქვე ნათქვამია, რომ მოსახლეობის უკიდურესი სიღარიბიდან და სხვა აუცილებლობიდან გამომდინარე, საჭირო იყო სახელმწიფოს მიერ სამხედრო ბეგარის ვადების გონივრული ვადით გადაწევა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ შემოთავაზებული პროექტის მიღება, რაც ითვალისწინებდა ზემოაღნიშნულ სამ სანჯაყში 1920 წლის დასაწყისამდე გადასახადების ფორმის შენარჩუნებას ისეთი სახით, როგორც რუსული მმართველობის პერიოდში იყო. ამით აცილებულ იქნებოდა დამატებითი გაჭირვება. რეკომენდებული იყო საქალაქო მმართველობის ჩამოყალიბება ადრე არსებული რუსული წესის მიხედვით. ასევე, აღნიშნულ მხარეთა მართვის აუცილებლობიდან გამომდინარე, სახელმწიფო მოხელეთა ჯგუფის ხელმძღვანელების სამოქმედო ინსტრუქციით უზრუნველყოფა, ადგილობრივი მმართველობის, სასამართლო, პოლიციის, ჟანდარმერიის ორგანოების, ფოსტა-ტელეგრაფის საქმეების მოქმედი კანონმდებლობისა და დადგენილებების ფარგლებში განვითარება იგეგმებოდა. იქიდან გამომდინარე, რომ გიუმრის, ახალციხის, ახალქალაქის, სურმელის სანჯაყები ჯერ კიდევ არ იყვნენ შეერთებული ოსმალეთის სახელმწიფოსთან, შეუძლებელი იყო იქ სახელმწიფო მოხელეთა მივლინება და იქაურობის სათანადო კადრებით უზრუნველყოფა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მრჩევლის აპარატის მიერ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მომზადებულ მოხსენებითი ბარათი ითვალისწინებდა ზემოაღნიშნული სანჯაყებისგან ორი ლივის³ ჩამოყალიბებას. მაგრამ, ამგვარ გადაწყვეტილებას არ უნდა მოჰყოლოდა უწესრიგობა. მომავალში, ზემოაღნიშნული სანჯაყების მართვის წესი ოსმალეთში მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში უნდა მოსულიყო. მანამდე, იქაურობის მართვა აქამდე მოქმედი რუსული კანონმდებლობის მიხედვით უნდა წარმოებულიყო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განხილულ იქნა ბათუმის, ყარსის და არტაანის სანჯაყების ადმინისტრაციული მოწყობის ფორმა. დამატებით მიღებული იქნა ოსმალეთის ვაჭრობის დეპარტამენტის გადაწყვეტილების პროექტი იმის თაობაზე, რომ ამ სანჯაყებში განსაკუთრებული მართვის ფორმის დამკვიდრების მიზნით, გამონაკლისის სახით ოსმალეთის სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი კანონები ამოქმედებულიყო (Koltuk&Sağlam, 2009: 50–51, 80–85).

ოქმთან დაკავშირებით ოსმალეთის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება ასეთი იყო: „ბათუმის, ყარსის და არტაანის მხარეებში მისავლენი სახელმწიფო მოხელეების საშტატო განრიგის შესახებ 1918 წლის 21 აგვისტოს მოხსენებითი ბარათის სახით წარმოდგენილი პუნქტები და მათ სახელფასო ანაზღაურებაზე პროპორციული დანამატის და ეკიპირების ხარჯების შესახებ წინადადება დადებითად იქნას გადაწყვეტილი. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ბათუმის, ყარსის და არტაანის ვილაეთებში, ხარჯების გაწევის მიზნით გამოსაყოფი ასიგნებების შესახებ შემოთავაზებული კანონპროექტი მიღებულ იქნას და შედგეს შესაბამისი ოქმი. თანხმობა იქნას გაცემული მისავლენი მოხელეების ხარჯებსა და

³ოსმალეთის სახელმწიფოში ტერმინი ლივა სამხედრო-ადმინისტრაციული და „რეგიონის“ ან „პროვინციის“ მნიშვნელობით გამოიყენებოდა.

მათი საჭიროებისთვის აუცილებელ მოთხოვნილებებზე. ზემოაღნიშნულის უზრუნველყოფის და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბათუმის, ყარსის და არტაანის ვილაეთების ადმინისტრირების მიზნით, სათანადო ორგანოების მართვის სიტემასთან დაკავშირებით მომზადებული კანონპროექტი, საკითხების თავისებურებების გათვალისწინებით, შემუშავდა ჩვენი კომისიის მიერ და განსახილველად სახელმწიფოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს წარედგინება“ (Koltuk&Sağlam, 2009: 50–51, 80–85).

ოსმალეთის ხელისუფლებამ ჩატარებული პლებისციტისა და სულთნის მიერ გამოცემული რესკრიპტის შემდეგ შემოერთებულ მხარეებში გარკვეული ადმინისტრაციული ცვლილებები განახორციელა. სწორედ ამაზე მიუთითებს შინაგან საქმეთა სამინისტროს 14 სექტემბრის დადგენილება. იგი 5–პუნქტიანია და წარმოადგენს ბათუმის, ყარსის და არტაანის ვილაეთების შეერთების შემდეგ ბათუმის და ყარსის ერთ – „ბათუმის ვილაეთად“⁴ – ჩამოყალიბების შესახებ გადაწყვეტილებას. აქვე მითითებულია, თუ რომელი ტერიტორიული ერთეულებისგან შედგებოდნენ ცალკე ბათუმის და ცალკე ყარსის ლივები. პირველი მუხლის მიხედვით ბათუმის ლივა შედგებოდა: ორთა ბათუმის, ჩურუქსუს, ბორჩხის, მარართის⁵, აშალი აჯერას⁶, იუქარი აჯერას⁷, ართვინის, არდანუჩის⁸, შავშათის⁹ ყაზებისა¹⁰ და ოცდათხუთმეტი ნაჰიესგან¹¹. ხოლო, ყარსის ლივა – არდაჰანის¹², გოლეს¹³, ჩილდირის¹⁴, ნეფსი ყარსის, შურეგელის, აქბაზას, ზარუშათის, სარიყამიშის, ხორასნის, ყალიზმანის, ნაჰიევანის¹⁵, ოლთუს¹⁶, თავუსქერის¹⁷, ფოსოფის¹⁸ ყაზებისა და სამოცი ლივისგან. მეორე მუხლში ნათქვამია რომ, ზემოაღნიშნული ვილაეთის მართვის თავისებურებებიდან გამომდინარე და რეგიონების მართვის კანონის შესაბამისად, მისი, როგორც შემდეგ შემოერთებული რეგიონის ადმინისტრირება განხორციელდებოდა რეგიონული მართვის კანონმდებლობის შესაბამისად. მესამე მუხლში დაკონკრეტებულია ადმინისტრირების წესი. რაც ნიშნავდა იმას, რომ იგი განისაზღვრებოდა პირველი კატეგორიის ლივების, ყაზების და ნაჰიეების შესახებ კანონით. მეოთხე მუხლით აღნიშნული დადგენილება ძალაში გამოქვეყნებისთანავე შედიოდა. ხოლო მეხუთე მუხლით, წინამდებარე დადგენილების შესრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მინისტრთა საბჭოს. აღნიშნული დადგენილება, მისთვის კანონის ძალის მინიჭების მიზნით, მეჯლისის სხდომაზე უნდა გატანილიყო.“ (Koltuk&Sağlam, 2009: 50–51, 80–85).

ოსმალეთმა, საბოლოოდ ვერ განახორციელა თავისი გეგმები ამიერკავკასიაში, თავის მოკავშირეებთან ერთად დამარცხდა პირველ მსოფლიო ომში და 1918 წლის 30 ოქტომბრის

⁴ ოსმალეთის სახელმწიფოში პირველი ხარისხის ადმინისტრაციული ერთეული, ტერიტორიის ლივაზე დიდი.

⁵ ტექსტში არასწორად არის მითითებული. უნდა იყოს მარადიდი.

⁶ ქვემო აჭარა

⁷ ზემო აჭარა

⁸ ქართულად - არტანუჯი

⁹ ქართულად - შავშეთი

¹⁰ ადმინისტრაციული ერთეული ოსმალეთის სახელმწიფოში, ტერიტორიით რაიონს უტოლდება.

¹¹ რაიონზე პატარა ადმინისტრაციული ერთეული ოსმალეთის სახელმწიფოში.

¹² ქართულად - არტაანი

¹³ ქართულად - კოლა

¹⁴ ქართულად - ჩრდილი

¹⁵ ქართულად - ნახიჭევანი

¹⁶ ქართულად - ოლთისი

¹⁷ ქართულად - ტაოსკარი

¹⁸ ქართულად - ფოცხოვი

მუდროსის ზავის თანახმად დატოვა ზემოაღნიშნული ტერიტორიები და 1914 წლის რუსეთ-ოსმალეთის საზღვრებში დაიხია (Tansel, 1977:25).

2. მაჰმადიანთა პირველი აჯანყება სამცხე-ჯავახეთში

სანამ უშუალოდ „ყარსის მთავრობის“ შექმნისა და მისი მიზნების საკითხს შევხებოდეთ, მიზანშეწონილი იქნება განვიხილოთ, თუ რა მდგომარეობა შეიქმნა სამცხე-ჯავახეთში რუსეთის მიმხდარი თებერვლის რევოლუციის შემდეგ.

1917 წელს¹⁹ აბასთუმანში ჩატარდა მაჰმადიანთა პირველი ყრილობა (ივანიძე&ივანიძე, 2002:14). მას დაესწრნენ წარმომადგენლები აჭარიდან, არტანის ოლქიდან, ჯავახეთიდან. როგორც ამიერკავკასიის ხელისუფლების წარმომადგენელი, ყრილობაზე მიიწვიეს შალვა მაღლაკელიძე.²⁰ ყრილობაზე უნდა დასმულიყო მხოლოდ კულტურული და სარწმუნოებრივი ხასიათის საკითხები. სინამდვილეში კრების გადაწყვეტილებით აჭარის, ფოცხოვის, ახალციხის და ახალქალაქის მაზრები ყარსის მხარეში უნდა გაერთიანებულიყო. ამავე დადგენილებით, ახალციხისა და ახალქალაქის მხარეები თბილისის გუბერნიიდან უნდა გამოყოფილიყო. აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, შალვა მაღლაკელიძის პროტესტს დიდი უკმაყოფილება მოჰყვა. რის გამოც მასზე შეიარაღებული თავდასხმა განხორციელდა. მაღლაკელიძე ამ თავდასხმას ცოცხალი გადაუშვა. თუმცა, მხლებლებიდან უნტეროფიცერი ბერიძე გარდაიცვალა, ხოლო მეორე მხლებელი – ცხინვალელი ოსი დაიჭრა (მაღლაკელიძე, 2012:304).

ცხადია, ადგილობრივ მაჰმადიანთა მოთხოვნები მხოლოდ ამით არ დასრულებულა. ახალციხის აღმასრულებელი კომიტეტის პირველივე სხდომაზე ახმედ ბეგ ფეფინოვის წინადადებით ახალციხის სახელის „ახისხა“ გადაკეთება დაადგინეს. მაღლაკელიძის მიხედვით, იგი ფეფინოვს და ომერ ფაიკს²¹ ამგვარი მოქმედებისთვის დაპატიმრებით დაემუქრა, რადგან მაღლაკელიძე მათ ქმედებაში ქართველობის საინააღმდეგო საქციელს ხედავდა. რის გამოც, მან მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეს – ომარ ფაიკს აუკრძალა კომიტეტის სხდომის მოწვევა. ეს უკანასკნელი და ფეფინოვი ბაქოდან გამოწვეულ აზერბაიჯანელ ოფიცრებთან ერთად მესხეთიდან ქართველების გაძევების მიზნით დიდ საიდუმლო სამზადისში იყვნენ (მაღლაკელიძე, 2012:305-306).

სამცხე-ჯავახეთში მოვლენები გარეგნულად მშვიდ სახეს ატარებდა. თუმცა, საბოლოოდ ჩამცხრალი არ იყო. 1917 წლის ნოემბრის დასაწყისში მაღლაკელიძესთან გამოცხადებულმა სამი მაჰმადიანისგან შემდგარმა დელეგაციამ, რომელსაც მაღლაკელიძის ცხენოსანთა რაზმის უფროსის მოადგილე ზია ბეგ აბაშიძე ხელმძღვანელობდა, მას შვიდპუნქტიანი მოთხოვნა წაუყენა: 1. ქალაქი ახალციხე სამცხე-ჯავახეთისა და არტანის ოლქისთვის მთავარ ქალაქად გამოცხადებინა; 2. ახალციხისთვის სახელი გადაერქმია და „ახისხა“ დაერქმია; 3. თავისუფალი ყაზარმები მუსლიმი მოსახლეობისათვის გადაეცა; 4. მერვე მაჰმადიანთა პოლკის შტაბისთვის ოფიცერთა საკრებულოს შენობა დაეთმო; 5. გარნიზონის უფროსად ქართველის მაგივრად დაენიშნა

¹⁹ ყრილობის დღე არ არის მითითებული.

²⁰ შალვა მაღლაკელიძე „ოზაკომის“ თავმჯდომარის აკაკი ჩხენკელის მიერ დანიშნული იყო „სამუსულმანო საქართველოს რწმუნებულად სამხედრო და სამოქალაქო საქმეებში“.

²¹ დაწვრილები იხ. შოთა ლომსაძე, მესხები, გამომცემლობა „მოლოდინი“, თბილისი, 1997, გვ. 154-176.

პოლკოვნიკი ყაჯარი, რომელიც ამ პოლკის უფროსად თბილისიდან იყო დანიშნული და რომელსაც მალაკელიძე ახალციხეში არ უშვებდა; 6. 24 საათის განმავლობაში მალაკელიძე და მისი სამხედრო ნაწილები ქალაქის ძველ უბანში – რაბათში გადასულიყვნენ; 7. თუ ეს წინადადება არ იქნებოდა მალაკელიძის მიერ მიღებული, მაჰმადიანთა სამხედრო ძალები დაუყოვნებლივ შეიჭრებოდნენ ქალაქში და სომხობასთან ერთად ქართველი ქრისტიანებიც ამოხოცილ იქნებოდნენ. მალაკელიძემ მასთან მისული დელეგაცია დაპატიმრა. მალაკელიძე ინგუშებისა და ოსებისგან შემდგარი ცხენოსანთა რაზმით, რომლის მეთაური იყო ეფენდიევი, აჯანყებულთა მეთაურის ომარ ფაიქის შესახვედრად გაემგზავრა (ივანიძე&ივანიძე, 2002:15).

ახალციხიდან გასული მალაკელიძე და მისი რაზმი ბორჯომის გზაზე აღმასკომის თავმჯდომარე ომარ ფაიქს და მის ამაღას შეხვდა. ომარ ფაიქი მალაკელიძისგან სომეხი მოსახლეობის ამოსახოცად ახალციხეში შეშვებას, ხოლო შემდეგ ადგილობრივ ქართველ მაჰმადიანებს და ქრისტიანებს, ასევე თურქებს შორის მოლაპარაკებებს მოითხოვდა. სომეხთა ამოხოცვის მიზეზად იგი მათ არზრუმიდან ჩამოსახლების შემდეგ ახალციხის ხელში ჩაგდებას ასახელებდა. ასევე, თვლიდა, რომ მუსლიმ მაცხოვრებელთა რიცხვი ამ მხარეში ჭარბობდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ცხენოსანთა რაზმი, რომელიც მალაკელიძეს ახლდა, მეთაურითურთ ომარ ფაიქის მხარეს გადავიდა. აღნიშნული ფაქტის შემდეგ მალაკელიძე ერთი ქრისტიანი მხლებლის, ბერიძის თანხლებით უკან, ახალციხეში დაბრუნდა. იგი ქალაქამდე ომარ ფაიქმა გამოაცილა (მალაკელიძე, 2012:307).

მალაკელიძის ხელმძღვანელობით ახალციხეში თავდაცვითი ღონისძიებები ისე გატარდა, რომ აჯანყებულთა შესვლა გაჭირდებოდა. აჯანყებულებმა სცადეს ახალციხის აღება, მაგრამ დამარცხდნენ. ომარ ფაიქმა აწყურისკენ დაიხია და იქ გამაგრდა. მალაკელიძეს თავდაცვის საქმე ჯავახეთის ქრისტიანთა სოფლების დასაცავად მოგვარებული ჰქონდა, სადაც იგზავნებოდნენ სათანადო გამოცდილების ოფიცრები (მალაკელიძე, 2012:309).

აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისი ვერაფრით ეხმარებოდა მალაკელიძეს. პირიქით, მაჰმადიანთა გავლენით, რომელნიც ამიერკავკასიის კომისარიატში შედიოდნენ, თვით კომისარიატი მალაკელიძის გადაყენებას და პასუხისგებაში მიცემას მოითხოვდა. ამიერკავკასიის მთავრობის ბრძანება – დაეტოვებინა მალაკელიძეს სამცხე-ჯავახეთი და ამით შეწყვეტილიყო ბრძოლა ქრისტიანებსა და მაჰმადიანებს შორის, მალაკელიძემ არ შეასრულა და საკუთარი პასუხისმგებლობით და ინიციატივით განაგრძობდა ბრძოლას ამ კუთხეში ქართველობის დასაცავად (მალაკელიძე, 2012:310).

მალაკელიძის თქმით, თბილისში არ ესმოდათ თუ რა ხდებოდა სამცხე-ჯავახეთში. ხოლო თვით მალაკელიძისთვის საკითხი ნათელი და გარკვეული იყო: საქმე ეხებოდა მთელ მესხეთს, დაჩეზოდა იგი ამიერკავკასიის ხელში თუ იქ შევიდოდა ოსმალეთი. ვინაიდან აჯანყება მოწყობილი იყო ოსმალეთის მომხრეთა მიერ და მიზნად ისახავდა ამ მხარის ოსმალეთთან შეერთებას. მალაკელიძემ, ასევე, უარი უთხრა სამცხე-ჯავახეთის ჩაბარებაზე აწყურში ჩასულ ამიერკავკასიის მთავრობის დელეგაციას, რომლის წევრები იყვნენ ახმედ ფეფინოვი, გენერალი არჯევანიძე და ნიკოლოზ ქარცივაძე. არც თბილისში ჩავიდა მოხსენების გასაკეთებლად და მხოლოდ წერილობითი სახით გაუგზავნა. მოხსენება მიჰქონდა პრაპორშიკ დიდიგურს, რომელიც აჯანყებულებმა აწყურში შეიპყრეს და წამებით მოკლეს. ინცინდენტი მოხდა 1918 წლის მარტის დასაწყისში.

მალაკელიძემ აღნიშნულის ჩამდენნი დასაჯა და ბორჯომისკენ გზა გახსნა (მალაკელიძე, 2012:310).

მალაკელიძით უკმაყოფილო ამიერკავკასიის მთავრობის გეგმით სამცხე-ჯავახეთის მხარეში მთელი ძალაუფლების მუსლიმებისთვის გადაცემა იგეგმებოდა. სასურველ კანდიდატად პოლკოვნიკი ყაჯარი იყო შერჩეული, რომელიც აბასთუმანში იყო გამაგრებული თავისი მერვე მაჰმადიანთა პოლკით და თბილისში მყოფი მთავრობისგან ნდობა ჰქონდა მოპოვებული. მალაკელიძე თანამდებობას დატოვების წინადადებას თანხმდებოდა მხოლოდ იმ პირობით, თუ ახალციხის დაცვა და ახალციხე-ახალქალაქის და ფოცხოვის კუთხეთა პატრონობა გენერალ ბალო მაყაშვილს ჩაბარდებოდა. მალაკელიძისსვე თქმით, მაყაშვილი თავისი სურვილით იყო ახალციხეში ჩასული და მას ფასდაუდებელი დახმარება გაუწია. ამიერკავკასიის მთავრობა მალაკელიძის წინადადებას დაეთანხმა. მაყაშვილსთვისაც მისაღები გახდა მალაკელიძის წინადადება და იგი დაინიშნა მალაკელიძის თანამდებობაზე (მალაკელიძე, 2012:311).

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს მთავრობამ მაყაშვილი სასაზღვრო ჯარების უფროსად ოფიციალურად დატოვა (საითიძე, 1999:310). მაყაშვილმა განაგრძო ახალციხის დაცვა (სახალხო საქმე, 1918:3-4).

ცნობილია, რომ საქართველოს მთავრობა 1918 წლის 4 ივნისის ბათუმის ზავის პირობების თანახმად იძულებული გახდა ახალციხის და ახალქალაქის მხარეები ოსმალეთისთვის დაეთმო (Şahin, 2002: 549). მაყაშვილმა სრული სამხედრო წესით თავისი შეიარაღებული ძალები ბორჯომისკენ გამოიყვანა და სამხედრო ქონებაც წამოღო (სახალხო საქმე, 1918:3-4). ბათუმის ხელშეკრულები თანახმად, ქართული სამხედრო შენაერთებს ახალციხის და ახალქალაქის მხარეები 10 ივნისისთვის უნდა დაეცალათ. რის შემდეგადაც იგი ოსმალეთის არმიის მე-3 კავკასიის დივიზიონმა დაიკავა (Sarı, 2014: 150).

პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის და მისი მოკავშირეების დამარცხების შემდეგ, 1918 წლის 30 ოქტომბრის მუდროსის ზავის პირობების თანახმად ოსმალეთის არმიას ახალციხის, ახალქალაქისა და გიუმრის მხარეები უნდა დაეცალა. ოსმალეთის არმიის კავკასიიდან გასვლის გამო ზემოაღნიშნული მხარეების, ასევე, გიუმრის, ილდირის და ნახიჭევანის თურქმა და მუსლიმმა მოსახლეობამ მე-9 არმიის მეთაურს იაყუბ შევქი ფაშას სამკუნქტიანი წერილით მიმართა. სადაც მოითხოვდნენ, რომ ოსმალეთის არმიას ზემოაღნიშნული მხარეები არ დაეცალა; სამხედრო ნაწილების გასვლის აუცილებლობის შემთხვევაში, მუსლიმი მოსახლეობის დაცვის მიზნით, ყოველ ყაზაში ერთი წარმომადგენელი და სოლიდური რაოდენობის სამხედროთა რაოდენობა დაეტოვებინა. მიზეზად დასახელებულია შიში ქრისტიანი მოსახლეობის მხრიდან აწიოკების გამო. ასევე, მოთხოვნილია საბოლოო ზავამდე აღნიშნულ მხარეებში მცხოვრებთა ნების ხელშეუხებლობა, საქართველოს და სომხეთის სახელმწიფოების სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების ძალაუფლების გაუერცვლებლობა (Gökdemir, 1998:35-36).

აღნიშნული წერილის საფუძველზე, 1918 წლის 1 ნოემბერს იაყუბ შევქი ფაშამ სამხედრო სამინისტროს მიმართა და ამ საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი მითითებანი მოითხოვა. რაზედაც აჰმეთ იზეთ ფაშასგან ოთხ პუნქტიანი პასუხი მიიღო. იზეთ ფაშა განმარტავდა, რომ რადგან ოსმალეთი თავის მოკავშირეებთან ერთად ომში დამარცხდა, ამიტომ ვალდებული იყო შეესრულებინა გამარჯვებული სახელმწიფოებთან დადებული

ზავის მუხლები. აქედან გამომდინარე, ოსმალეთი ვერ გააგრძელებდა კავკასიელი მუსლიმების დახმარებას იმგვარად, როგორც აქამდე იყო. ამდენად, საზავო პირობების საბოლოოდ ძალაში შესვლამდე, ოსმალეთის სამხედრო ნაწილებს ოთხი კვირის ვადაში, ბრესტ–ლიტოვსკის ზავში მითითებული ტერიტორიების გარდა²², უნდა დაეცალათ კავკასიაში ბრესტის ზავის შემდეგ დაკავებული ტერიტორიები. ხოლო მოსახლეობას რეკომენდაცია ეძლეოდა საკუთარი მომავლის უსაფრთხოების მიზნით ადგილზე დარჩენილიყვნენ და საკუთარი მდგომარეობა არ გაეპროტესტებინათ (Gökdemir, 1998:37).

მუდროსის დროებით ზავამდე აჭარა და სამცხე – ჯავახეთი ოსმალეთის მე–9 არმიის მე–3 დივიზიის საპასუხისმგებლო ზონა იყო, რომელიც ზემოაღნიშნული ზავის თანახმად ხსენებული ტერიტორიებიდან უნდა გასულიყო. შექმნილ მდგომარეობიდან გამომდინარე, 1918 წლის 29 ოქტომბერს ახალციხის²³ მუსლიმი მოსახლეობის კრებაზე „ახალციხის დროებითი მთავრობა“ შეიქმნა. აღნიშნული „მთავრობის“ შექმნასა და ორგანიზებაში ადგილობრივე მუსლიმებს მე–9 არმიის მეთაურის იაყუბ შევქი ფაშას დირექტივების საფუძველზე დახმარება მე–3 კავკასიური დივიზიონის მეთაურმა ჰალით ფაშამ გაუწია (Sarı, 2015:174). „მთავრობას“ სათავეში ჩაუდგა ომარ ფაიქი (Çinar, 2024:24).

3. „სამხრეთ–დასავლეთი კავკასიის დროებითი ეროვნული მთავრობა“.

ა) ყარსის ისლამური საბჭო

იაყუბ შევქი ფაშას²⁴ და ყარსის გუბერნატორის ჰილმი ურანის დახმარებით 1918 წლის 5 ნოემბერს ყარსსა და მის შემოგარენში თურქმა და მუსლიმმა მოსახლეობამ ვილსონის პრინციპებზე²⁵ დაყრდნობით „ყარსის ისლამური საბჭო“, ანუ საკუთარი მთავრობა ჩამოაყალიბა და ოსმალეთის სახელმწიფოსგან ადგილობრივი ხელისუფლება ოფიციალურად გადაიბარა (Gökdemir, 1998 : 63).

ყარსის ისლამური საბჭო შეიქმნა ფიროღლუ ფაჰრედდინ (ერდოღან) ბეგის ინიციატივით. საბჭოს შექმნაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ყალიზმანელმა ალი რიზა (ატამან) ბეგმა, ყარსელმა სარი ჰალილოღლუ მუჰლისმა, წარმოსობიტ ორენბურგელმა მამილ/მამილოღლუმ, თევზიდდინმა და ქეფენექჩი ემინ აღამ. ყარსის ისლამური საბჭოს ჩამოყალიბების შემდეგ, საბჭოს ხელმძღვანელების მიერ 1918 წლის 14 ნოემბერს საბჭოს პირველი შეკრების ჩატარების შესახებ ყარსის მიმდებარე სანჯაყებსა და ყაზებში ინფორმაცია დაიგზავნა. ცხრა დღის გამწვანებაში ყარსში ჩამოვიდნენ ოლთისის, არტანის და ყალიზმანის წარმომადგენლები. 1918 წლის 10 ნოემბერს მათ შეუერთდნენ

²² თალათ ფაშას მთავრობამ ომის ბოლო დღეებში ბრესტ–ლიტოვსკის ზავის წყალობით დაკავებული ბათუმის, ყარსის და არტანის მხარეების შენარჩუნების მიზნით 1918 წლის 21 ნოემბერს სამხრეთი კავკასიის და ჩრდილო–დასავლეთი ირანის ტერიტორიების დატოვების ბრძანება გასცა და ზემოაღნიშნული სამი მხარის ტერიტორიაზე გადმოიყვანა საკუთარი სამხედრო ნაწილები (იხ. Selçuk Ural, Mehmet Okur, Nebahat Arslan, Meşrutiyet’ten Milli Mücadele’ye Elvie-i Selase’de Ermeni Meselesi, Sancak yayınları, Ankara, 2017, გვ. 85)

²³ თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში ამ სახელწოდებით მოიხსენიებენ, ასევე, სამცხე–ჯავახეთის მხარეს.

²⁴ მიმდინარე მოვლენების დროს იყო ოსმალეთის აღმოსავლეთი არმიების დაჯგუფების მე–9 არმიის მეთაური.

²⁵ საუბარია ამერიკის პრეზიდენტის ვუდრო ვილსონის 1918 წლის ერთა თვითგამორკვევისა და დეკოლონიზაციის პრინციპებზე.

„ახალციხის დროებითი მთავრობის“ წარმომადგენელი სერვერ ბეგი და მისი თანხმხლები პირები (Gökdemir, 1998 : 65).

ყარსის ისლამური საბჭოს პირველი შეკრება გაიმართა 1918 წლის 14 ნოემბერს, ხუთშაბათ დღეს.²⁶ ფაქრეთინ ფიროღლუს თავმჯდომარეობით 1918 წლის 14 ნოემბერს ყარსის პირველ კონგრესზე მოქმედმა რვა კაციანმა „დროებითმა გამგეობამ“ ადგილობრივი მთავრობა ჩამოაყალიბა, რომელსაც დაერქვა „სრულიად ეროვნული ცენტრალური ისლამური საბჭო“, ხელმძღვანელად აირჩა ქეფენექჩი ემინ ალა. ამ მთავრობის მიზანი გახდა დაეწყო მზადება უკან დახეული ოსმალეთის არმიისაგან საბრძოლო პოზიციების, სამხედრო შენობების და სამხედრო ინფრასტრუქტურის გადაბარება. ასევე, ყარსის სანჯაყებსა და ყაზებში, ახალციხის და ართვინის მხარეებში, ბათუმის სანჯაყსა და ყაზებში გაეხსნა ყარსის „ისლამური საბჭოს“ ფილიალები. ქეფენექჩი ემინ ალას . ასევე, უნდა ეხელმძღვანელა, განათლების საქმისთვის. მოადგილედ აირჩა „დროებითი გამგეობის“ თავმჯდომარე ფიროღლუ ფაქრედდინ ბეგი (Kırzioğlu, 1968:72). „ყარსის ისლამურმა საბჭომ“ იაყუბ შევქი ფაშასგან მიიღო 1000 ცალი რუსული წარმოების ბერდანკის თოფი. შემდეგში, „ყარსის ისლამურმა საბჭომ“ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც 1918 წლის 30 ნოემბერს ყარსში უნდა ჩატარებულიყო დიდი კონგრესი, რაშიც ბათუმიდან ორდუბადამდე ტერიტორიიდან ჩამოსული დელეგატები მიიღებდნენ მონაწილეობას (Gökdemir, 1998: 66).

ბ) ყარსის ეროვნული საბჭოს მთავრობა და ორგანიზაციული საქმიანობა

1918 წლის 30 ნოემბერს ყარსის ეროვნული საბჭოს მოწვევის საფუძველზე ყარსის მხარის მიმდებარე ტერიტორიებიდან, ახალციხიდან და ახალქალაქიდან ყარსში 60 დელეგატი ჩავიდა. კონგრესი იმავე დღეს დაიწყო და ორ დღეს გაგრძელდა. კონგრესს სხვადასხვა მხარეებიდან ჩასული კიდევ 10 კაცი დაემატა. კონგრესზე რამდენიმე გადაწყვეტილება იქნა მიღებული. რომლის მიხედვითაც:1) ოსმალეთის არმიის გასვლის შემდეგ, ბათუმიდან ორდუბადამდე და აღრიდან აწყურამდე ტერიტორიაზე, ადგილობრივი მმართველობისა და თავდაცვის მიზნით უნდა შექმნილიყო „ეროვნული საბჭოს მთავრობა“ ცენტრით ყარსში (Gökdemir, 1998: 69). 2) მთავრობა შედგა 12 წევრისგან: ყარსელი ჯიჰანგიროღლუ ჰასან ბეგი, დივრიგელი ფიროღლუ ფაქრეთინ ბეგი, ჩილდირელი ესად ბეგი, აქბაბელი ჰაჯი აბასოღლუ ქერბელაი მეჰმედ ბეგი, ყარაჩანთელი ჰაჯიოღლუ აჰმეთ ბეგი, მოლა ბილალ ბეგი, ერევნელი აჰუნდოღლუ თაქი ბეგი, ილდირელი ალი ბეგოღლუ მეჰმეთ ბეგი, გიუმრელი ჰაჯიოღლუ იუსუფ ბეგი, ბორჩალოელი²⁷ ქეფენექჩი ემინ ალა, ყალიზმანელი²⁸ ალი რიზა ბეგი და დიგორელი მაცსუდ ალაოღლუ ჰასან ალა. მთავრობის მეთაურად არჩეულ იქნა ჯიჰანგიროღლუ იბრაჰიმ ბეგი. ხოლო მოადგილედ, ქეფენექჩი ემინ ალა. მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად - სამი ბეგი აირჩა. 3) გადაწყდა, რომ ინგლისელებისგან მალულად, „ეროვნული საბჭოს მთავრობას“ ოსმალეთის არმიისაგან მიეღო გარკვეული რაოდენობის იარაღი, გადაემალა ის სანდო მოქალაქეთა ხელში და შემდეგ შეექმნა „ეროვნული საბჭოს“ ჯარი. 4) გამარჯვებულ სახელმწიფოთა და ინგლისელთა პოზიციის მიუხედავად „ისლამური საბჭოს მთავრობა“ ერთგული უნდა დარჩენილიყო ოსმალეთის სახელმწიფოსა

²⁶ ამჟამად, ამ შენობაში განთავსებულია ქალაქის მერიის ერთი ნაწილი.

²⁷ დღევანდელი მარნეულის რაიონი

²⁸ ქართულ წყაროებში აღზევანი.

(სამშობლოს) და ხალიფასადმი და თურქულ დროშის სიმბოლიკა საკუთარ დროშაზეც გამოეყენებინა (Kırzioğlu, 1968:72, 959-961). მმართველობის და სასამართლო სისტემაც ოსმალეთის სახელმწიფოს ამავე სისტემების მიხედვით უნდა ჩამოეყალიბებულიყო. ამავე კონგრესზე, „არაქსის თურქულმა მთავრობამ“ და „ახალციხის დროებითმა მთავრობამ“ „ეროვნულ საბჭოში“ გაწევრიანების გადაწყვეტილება მიიღეს (Gökdemir, 1998 : 69-70).

მთავრობამ ჯიჰანგიროღლუ იბრაჰიმ ბეის „ეროვნული საბჭოს ფილიალების“ გახსნის უფლებამოსილება მიანიჭა. ფილიალები გაიხსნა: ოლთისში, მას ხელმძღვანელობდა თაჰირბეგზადე იუსუფ ზია ბეგი; სარიყამიშში, ხელმძღვანელი ჰამამლი ბეჟირ ალა; ჩილდირში²⁹, ხელმძღვანელები ფურუთელი ქამილ ალა და კორაველელი, ასევე, ქამილ ალა; თუზლუჯაში, ხელმძღვანელი შამილ ბეგი; არტაანში, ხელმძღვანელები დიკანელი ჰაფიზ ეფენდი და ჰამშიოღლუ რასიმ ბეგი ყალიზმანში „ეროვნული საბჭოს“ ხელმძღვანელი იყო არსლან ბეგი (Gökdemir, 1998 :73).

უცხო ქვეყნების მხრიდან „ეროვნული საბჭოს მთავრობის“ ცნობის მიზნით სტამბოლში ანტანტისა და სხვა ევროპულ ქვეყნებთან „ეროვნული საბჭოს“ წარმომადგენლებად დანიშნულ იქნენ ათბაშზადე ასაფ ბეი და ჰალილ ბეგზადე ალი ბეი. 1918 წლის 7 დეკემბერს მათ მთავრობის მეთაურის მოადგილის, ქეფენექჩი ემინ ალას მხრიდან მიეცა რწმუნებათა სიგელები. სიგელები ფრანგულ და თურქულ ენებზე იყო შედგენილი (Kırzioğlu, 1960:13-14).

მანდატის შესაბამისად, 1918 წლის 11 ნოემბერს ყარსში მოსულმა ინგლისელთა დელეგაციამ, რომელმაც ოსმალეთის მე-9 არმიისგან სამხედრო პოზიციების გადაბარება დაიწყო, 26 ნოემბერს ყარსის შიდა ციხე „ეროვნულ ისლამურ საბჭოს“ გადასცა (Kırzioğlu, 1968:72, 959-961).

1918 წლის 4 დეკემბერს მე-3 დივიზიონმა ახალციხე დატოვა და არტაანში გადავიდა ამავე დღეს, შუადღისით, 6 ზარბაზნით და 12 ტყვიამფქრველით შეიარაღებული 3 ქართული ფეხოსანთა ბატალიონი ახალციხეში შევიდა. იმავე დღეს თურქულმა სამხედრო შენაერთმა ახალქალაქი დატოვა, რომელიც სომხურმა სამხედრო ნაწილებმა დაიკავეს. ქართველებმა მათი ქმედება გააპროტესტეს, რამაც ქართველებსა და სომხებს შორის ომი გამოიწვია. „ეროვნული ისლამური საბჭოს მთავრობის“ მიხედვით სამივე ტერიტორია (ბათუმი, ახალციხე, ახალქალაქი) მის ტერიტორიებად ითვლებოდა (Gökdemir, 1998:78).

გ) არტაანის პირველი კონგრესი (3-5 იანვარი 1918)

ახალციხიდან არტაანში გადასული მე-3 დივიზიონის მეთაურის ჰალილ ფაშას ხელმძღვანელობით (ერთობის და პროგრესის პარტიის) წევრის ალი ჯენაბის, დოქტორ აბიდინ ალაჩიკოღლუს, დოქტორ ფუად საბითის, ფილიბელი ჰილმის, (ბათარის გამგებლის) არიფის, ებულჰინდელი ქოსეოღლუ ჯაფერის (ერჩიქანი) და არდაჰანის რაიონის გამგებლის ჰამშიოღლუ რასიმ (აჯარ) ბეგებისგან შემდგარმა რვაკაციანმა კომიტეტმა 1919 წლის 3-5 იანვარს არტაანის პირველი კონგრესი ჩაატარა. კონგრესი გახსნა ჰალილ ფაშამ, სადაც მიღებული გადაწყვეტილებების მიხედვით: 1). სხვადასხვა მიზეზებით და საბაბით არ უნდა მოყვანილიყო სისრულეში ის პირობები, რომელსაც

²⁹ ისტორიული ჩრდილი.

ინგლისელები კარნახობდნენ „ეროვნული ისლამური საბჭოს მთავრობას“ მუდროსის ზავის პირობებზე დაყრდნობით. 2). ყველა საშუალების გამოყენებით იარაღი ინგლისელებს არ უნდა ჩაბარებოდათ. პირიქით, მტერთან ბრძოლისას კიდევ უფრო მეტი იარაღის ხელში ჩაგდების მიზნით, შესაბამისი ზომები უნდა მიღებულიყო. 3). უნდა შექმნილიყო ფართომასშტაბიანი ორგანიზაცია, რომელიც შეძლებდა ახალციხის მხარის და ელვიე-ი სელასეს³⁰ ტერიტორიის და ოსმალეთის ტერიტორიის, სრუტეების, პორტებისა და რკინიგზების მტრისგან გათავისუფლებას. 4). „ეროვნული ისლამური საბჭომ“ შემავალ მხარეთა წარმომადგენლების ჩართულობით, არტაანში კიდევ ერთი კონგრესი უნდა ჩატარებულიყო. რასიმ ბეის სახლში ჩატარებული კონგრესის ეს გადაწყვეტილებები ტელეფონით და დეპეშების სახით ეცნობა რეგიონის ლიდერებს და მათ ინგლისელთა მიერ მხარის ოკუპაციამდე არტაანში დელეგატთა გამოგზავნა მოეთხოვათ (Kırzioğlu, 1968: 12, 959-961).

დ) არტაანის მეორე კონგრესი (7-9 იანვარი 1919).

7-9 იანვარს იმავე სახლში გაიმართა არტაანის მეორე კონგრესი, ე.წ. „დიდი კონგრესი“. წინა კონგრესის რვა მონაწილეს „ეროვნული საბჭოს მთავრობიდან“ 12 დელეგატი დაემატა. დელეგატები ერთხმად დაეთანხმნენ წინა კონგრესის გადაწყვეტილებას. ერთმანეთში გადაინაწილეს მომავალი საქმიანობის მიმართულებები და დაიშლნენ. მეორე კონგრესში მონაწილე ახალი დელეგატები იყვნენ: ახალციხიდან- ოსმან სერვერ ბეგი, ახალქალაქიდან - მეჰმეთ ალი, ჩილდირიდან - დოქტორი ესად ბეგი, ყარსიდან - ეროვნული საბჭოს მთავრობის მეთაური ჯიჰანგიროღლუ იბრაჰიმ აიდინ ბეგი, ოლთისიდან - იუსუფ ზია ბეგი, საქიროღლუ აჰმედი და მეჰმედ რამიზ ბეგი, ოლთისის მხარის ტაოსკარიდან - ჰამშიოღლუ რუსტემ ბეგი (აჯარი), ყარსიდან -ჯიჰანგიროღლუ ჰასან ხან ბეგი, ახალქალაქიდან - აფზალი, ყალიზმანიდან - ალი რიზა ბეგი, შურეგელიდან - აქბაბელი ჰაჯიაბასოღლუ ქერბელაი მეჰმედ (აქბაბა) ბეგი (Gökdemir, 1998:80). არტაანის მეორე კონგრესზე მიღებული გადაწყვეტილებები პირველი კონგრესის გადაწყვეტილებებს დაემატა. მეორე კონგრესის გადაწყვეტილებების მიხედვით: 1) ყარსში, როგორც ცენტრში, დიდი კონგრესის ჩასატარებლად და „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის დროებითი ეროვნული მთავრობის“ შესაქმნელად „ეროვნული საბჭოების“ დელეგატები უნდა გაგზავნილიყვნენ. 2) ოსმალეთის მე-9 არმიის არზრუმის ვილაეთში ევაკუაციისას იგი ახლადშექმნილ „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის დროებითი ეროვნული მთავრობას“ იარაღით და საბრძოლო მასალებით უნდა დახმარებოდა. ადგილობრივი მოსახლეობისგან შეიარაღებული სამხედრო ნაწილები უნდა ჩამოყალიბებულიყო. ამავე არმიიდან ნებაყოფლობით დარჩენილი ზემდეგების, ათისთავების და სამხედრო სპეციალისტი ვეტერანებისგან, მე-3 დივიზიონისგან გამოყოფილი ოფიცრების მეთაურობით უნდა შექმნილიყო საჭირო სამხედრო შენაერთები და ის უნდა მოქცეულიყო ერთიანი მმართველობის ქვეშ. 3) ტრაპიზონში გამოცემული გაზეთების - ისთიქბალი და იქბალი, ბათუმში გამოსაცემი გაზეთის - „სადა-ი მილეტი“,³¹ ერზრუმში გამოსაცემი გაზეთის - „ალბაირაქი“, საშუალებით ადგილობრივების მობილიზება უნდა მომხდარიყო, საგაზეთო

³⁰ თურქულ ისტორიოგრაფიაში ამ ტერმინით მოიხსენიებენ ბათუმის, ყარსისა და არტაანის მხარეებს.
³¹ ბათუმში „ყარსის ეროვნული საბჭოს“ წარმომადგენლობას ხელმძღვანელობდნენ ბიბინზადე ჰუსეინ ბეი და ყანჯი ალი ჰაიდარი. მათივე მხრიდან გამოიცემოდა გაზეთი „სედა-ი მილეტი“ (იხ. Fahrettin Erdoğan, Türk Elllerinde Hatıralarım, Kültür Bakanlığı, Sanat/Edebiyat, Ankara, 1998 გვ. 223).

მასალების და ოფიციალური დელეგატების საშუალებით ხალხი საკუთარ ეროვნული უფლებებს უნდა გასცნობოდა. 4). არსებული შეიარაღება არ უნდა ჩაბარებოდა ინგლისელებს. 1914 წლის რუსეთ-ოსმალეთის საზღვრებში დაბრუნებული მე-3 დივიზიონის მეთაურ ჰალიდ ბეგს ახლადშექმნილი მთავრობისთვის სამხედრო დახმარება უნდა გაეწია (Kırzioğlu, 1968: 12, 959-961). სამხრეთ - დასავლეთი კავკასიის საზღვრების ფარგლებში უნდა ემოქმედა ჯაფერ ბეგის სამხედრო რაზმს. რომელსაც სამხედრო საკითხებში კონსულტაციებს გაუწევდა ჰალით ბეი, ხოლო პოლიტიკურ საკითხებში - ერზრუმში არსებული „სამშობლოს გათავისუფლების“ საზოგადოება. ჰალით ბეიმ არტანის კონგრესზე მიღებული გადაწყვეტილებები ჯაფერ ბეის აცნობა. 1919 წლის 7 იანვარს წერილით ჰალით ბეიმ მიუთითა ჯაფერ ბეის, რომ მიუხედავად მუდროსის ზავის პირობებისა, ინგლისელებისთვის იარაღი არ ჩაებარებინა. ამავე წერილში, ჰალით ფაშა აცნობებდა ჯაფერ ბეის, რომ მისი რაზმის საქმიანობის შესახებ კიაზიმ ყარაბექირ ფაშას ოფიციალური წერილი გაუგზავნა (Kırzioğlu, 1960:15).

ე) ინგლისელი გენერლის და იაკუბ შევკი ფაშას მოლაპარაკებები ყარსში

1919 წლის 16 იანვარს ბრიგადის გენერალი ფორესტიერ უოლკერი გუმრიში სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ტიგრანიანს შეხვდა. ამ შეხვედრაზე სომხებმა რუსეთ-ოსმალეთის 1914 წლის საზღვრებამდე სომხეთის ჯარების წინსვლა მოითხოვეს. გენერალი ამ წინადადებას არ დაეთანხმა. სამაგიეროდ ყარსი ინგლისელ სამხედროებს უნდა დაეკავებინათ, ხოლო სამოქალაქო ხელისუფლება სომხებისთვის დაეთმოთ. უოლკერი 1919 წლის 7 იანვარს არფაჩაის მხრიდან ყარსში მივიდა. აქ იგი იაკუბ შევკი ფაშას შეხვდა, სომხეთის მინისტრთან მიღწეული შეთანხმების შედეგები აუწყა და ოსმალეთის არმიას ყარსის მხარის 25 იანვრამდე დაეტოვება მოსთხოვა. გენერალმა უოლკერმა კაპიტან კლაივ ერინგტონ ტამპერლის ვიცე-პოლკოვნიკამდე გაუზარდა წოდება და ყარსის ინგლისის სამხედრო გუბერნატორად დანიშნა. ჰოვანე კაჩაზუნის კაბინეტმა სტეფან ყორღანიანი სამოქალაქო გუბერნატორის კანდიდატურაზე წარადგინა. ამ დროს ყარსში იმყოფებოდა ყარსის მხარის გუბერნატორი ჰილმი ბეგი. მან ქალაქი დატოვა 9 იანვარს, 1919 წლის 11 იანვარს „ყარსის ეროვნული საბჭოს მთავრობამ“ ჯიჰანგიროღლუ იბრაჰიმ ბეგი ყარსის მხარის გუბერნატორად დანიშნა. მისი ავადმყოფობის გამო, მოვალეობას ასრულებდა ფაჰრედდინ ბეგი (Gökdemir, 1998:82-86).

ვ) გენერალი ბიჩი და ყარსის მოვლენები

1919 წლის 13 იანვარს გენერალ უოლკერის გეგმის შესაბამისად ინგლისის სამხედრო გუბერნატორი ტემპერლი 200 კაციანი ინგლისური სამხედრო რაზმის თანხლებით სომხებისაგან შემდგარი 50-60 კაციანი სამთავრობო დელეგაციით, რომელთაც ხემძღვანელობდა ინგლისელთა სტამბოლის შტაბის მეთაური გენერალი ბიჩი, ყარსში ჩავიდა (Jaeschke, 1971:44). „ყარსის ისლამურ ეროვნულ საბჭოს“ ინგლისელების ჩასვლის შესახებ ინფორმაცია ჰქონდა. „საბჭომ“ ყარსში ყარსის გარემემო სოფლებიდან 2000 კაცს თავი მოუყარა. (Erdogan, 1954:177). ინგლისელმა გენერალმა ბიჩმა და სამხედრო გუბერნატორმა ტემპერლიმ დაუძახეს ეროვნული საბჭოს ლიდერებს და უთხრეს, რომ ინგლისის მთავრობის სახელით სომეხი ყორღანოვი ყარსის გუბერნატორად დანიშნა და მოითხოვეს მისდამი მორჩილება. „ეროვნული საბჭოს“ ლიდერებმა ინგლისელთა ეს წინადადება არ მიიღეს და ყორღანოვის გუბერნატორობაზე უარი თქვეს (Gökdemir, 1998: 87). ადგილობრივი მთავრობა მზადყოფნას გამოთქვამდა, რომ ინგლისის სახელმწიფოს

სახელით მოსული სამხედრო მეთაური და მისი ჯარისკაცები დიდი პატივით მიეღო. თუმცა, სომხეთის მთავრობის სახელით მოსულ სომხური დელეგაციის მიიღებაზე უარი განაცხადა. ადგილობრივმა მოსახლეობამ დაბლოკა რკინიგზა და არ მისცა უფლება სომხურ დელეგაციას ვაგონიდან გადმოსულიყო. ინგლისელებმა სომხური დელეგაცია უკან, გიუმრიში გააგზავნეს. თვითონ გენერალი ბიჩიკ რამდენიმე დღის შემდეგ გიუმრიში გაემგზავრა. 1919 წლის 17 იანვარს 131 დეპუტატი ყარსის დიდი კონგრესისთვის შეიკრიბა (Erdoğan, 1954:184).³²

ზ) სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის დროებით ეროვნული მთავრობა (17/18 იანვარი 1919 – 12 აპრილი 1919).

17-18 იანვარს დოქტორ ესად ბეის ხელმძღვანელობით შეიკრიბა კონგრესი და დაარსდა „სამხრეთ - დასავლეთი კავკასიის დროებითი ეროვნული მთავრობა“. მიღებულ იქნა 18 მუხლიანი კონსტიტუცია, მთავრობის მეთაურად კვლავ ჯიჰანგიროღლუ იბრაჰიმ ბეგი აირჩა. მთავრობის წევრები იყვნენ: 1. პარლამენტის თავმჯდომარე, ჩილდირელი დოქტორი ესად ბეი; 2. შიგან საქმეთა მინისტრი ყალიზმანელი ალი რიზა ბეი; 3. იუსტიციის მინისტრი ერევნელი მოსამართლე აღაბაბაღოღლუ აბას ალი ბეი; 4. საგარეო საქმეთა მინისტრი დივრიგელი ფიროღლუ ფაჰრეთინ ბეგი; 5. სამხედრო მინისტრი ჯიჰანგიროღლუ ჰასან ჰან ბეი; 6. ფინანსთა მინისტრი გიუმრელი ჰუდადბეგოღლუ მეჰმედ ბეი; 7. განათლების მინისტრი, თავდაპირველად თურქეთელი ბერძენი და წარმოშობით ყარსელი მიხაილ ანდრეანოტი, შემდეგ თურქი მასწავლებელი ქოჯაოღლუ მეჰმედ ბეი; 8. სურსათის მინისტრი ჰასამბეგოღლუ მეჰმედ ბეი; 9. საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი ერევნელი ინჟინერი მაჰმუთ ბეი; 10. სოფლის მეურნეობის, სატყეო და ვაჭრობის მინისტრი ნახიჭევანელი ალექსანდრე კაზიმი. ასევე ცალკე შეიქმნა მთავარი სამმართველოები, რომელთა ხელმძღვანელებად დაინიშნენ: 1. ფოსტა - ტელეგრაფის სამმართველოს დირექტორი ბერძენი არლოვი.³³ შემდეგ ყარსელი მეჰმედ ბეგოღლუ მუჰლის ბეგი (ატამანი); 2. რკინიგზის სამმართველოს დირექტორი ყარაჩანთელი ჰაჯიოღლუ აჰმედ ბეგი; 3. პოლიციის სამმართველოს უფროსი, ეროვნებით ბაშკირი, ადვოკატი მამილოღლუ თევჰიდუდინ ბეგი; 4. ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი სარიყამიშელი ჰაჯი შერიფოღლუ მეჰმედ სუნგურ ბეგი (Kırzioğlu, 1953:557). ამავე კონგრესზე იუსტიციის მინისტრად არჩეულ მოსამართლე აღაბაბაღოღლუ აბას ალი ბეგის და კანცელარიის დირექტორის სამი ბეგის მხრიდან შედგა და პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 18 მუხლიანი კონსტიტუცია. კონსტიტუციის მიხედვით:

1. მთავრობას უნდა ეტარებინა სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის სახელი
2. სამხრეთ -დასავლეთი კავკასიის მთავრობის საზღვარი იწყებოდა ბათუმიდან და სრულდებოდა ნახიჭევანთან. მთავრობა ვალდებული იყო დაეცვა ეს საზღვარი საერთო მშვიდობის დამყარებამდე.

³² აღნიშნული შენობა ამჟამად წარმოადგენს ყარსის მხარის გუბერნატორის რეზიდენციას.
³³ იგი გახლავთ ელენა ორლოვა. მისი მემორიალური დაფა განთავსებულია ქალაქ ყარსში, მისი ყოფილი საცხოვრებლის კედელზე. ქალაქი ყარსი, იუსუფ ფაშას უბანი, შეჰიდ ჰულუსი აითექინის ქუჩა N 9. აბრას აწერია ელენა ორლოვ.

3. მთავრობის დროშა უნდა ყოფილიყო სამფეროვანი (თეთრი, მწვანე და შავი), დროშაზე დატანებული უნდა ყოფილიყო თურქეთის სახელმწიფოს დროშის შესაბამისად ნახევარმთვარე და ვარსკვლავი.
4. სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკის საზღვრებში სახელმწიფო ენა უნდა ყოფილიყო თურქული, ოფიციალური და არაოფიციალური გარიგებები და მიმოწერა თურქულ ენაზე უნდა წარმოებულიყო.
5. პარლამენტის არჩევნები; ათი ათასი მაცხოვრებლიდან ერთი დეპუტატი უნდა არჩეულიყო, 18 წლის ასაკს გადაცილებულ ყოველ მოქალაქეს შეეძლო არჩევნებში მონაწილეობის მიღება.
6. ყველა ვილაეთსა და ყაზაში უნდა გახსნილიყო ეროვნული საბჭოს ფილიალები, მათი საქმიანობა ყოველმხრივ უნდა ყოფილიყო მხარდაჭერილი.
7. ნებისმიერი საქციელი, რომელიც შეურაცხყოფდა თურქ ერს და მთავრობას, სასტიკად იკრძალებოდა.
8. ძირითადი სამხედრო დანაყოფები და ორგანიზაციები შეიქმნებოდა თურქეთის სახელმწიფოში მიღებული პროცედურების შესაბამისად. თურქეთის სახელმწიფოსთან კავშირის უზრუნველსაყოფად თურქეთში მუდმივი წარმომადგენლობა იქნებოდა წარგზავნილი.
9. მერვე მუხლში აღნიშნული პროცედურა შესაბამისად საჯარო სამსახურის ორგანიზებისთვის იქნებოდა გამოყენებული.
10. სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მთავრობისთვის პრინციპულ საკიტხად ითვლებოდა მეზობელ მთავრობებთან მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კანონი პარლამენტის არჩევნის შემდეგ შემუშავდებოდა.
11. თუ ევროპულმა მთავრობები გადაწყვეტდნენ „ვილაეთ-ი სანიეს“³⁴ თურქეთისთვის ჩამორთმევას და უცხო მთავრობას გადაცემას, სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მთავრობის გადაწყვეტილებით თავად არ გამოეყოფოდნენ თურქეთს.
12. დაცული იქნებოდა უმცირესობის უფლებები.
13. მუსლიმებს შორის რელიგიური განსხვავებების მიმარ პატივისცემა იქნებოდა გამოხატული და მომავალში ძალისხმევა რელიგიური რიტუალების გაერთიანებისკენ იქნებოდა მიმართული.
14. მაქსიმალური ზრუნვა იქნებოდა ჩადებული, რომ არჩევნები ყოფილიყო მიუკერძოებელი, დემოკრატიული და თურქების დიდებისა და ღირსების შესაბამისი.
15. გუბერნატორებისა და სამხედრო მეთაურების თანამდებობებზე დანიშვნა-გათავისუფლება მოხდებოდა მეჯლისის გადაწყვეტილებით.

³⁴ არზრუმის, სივასის, ვანის, დიარბაქირის, ბითლისის ვილაეთები.

16. ეროვნული საბჭოს მთავრობა პარლამენტის არჩევნების შემდეგ უფლებამოსილი იქნებოდა შეეცვალა კანონთა ზოგი მუხლები.

17. დეპუტატების ასაკი არ უნდა ყოფილიყო 25 წელს ქვემოთ.

18. აღნიშნული კანონის ცხოვრებაში გატარებისთვის უფლებამოსილი იყო ეროვნული საბჭოს მეთაური ჯიჰანგიროზადე იბრაჰიმ ბეგი (Erdogan, 1998:225).

ასე დაარსდა „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის დროებითი“ ეროვნული მთავრობა. კონგრესზე, მთავრობის მეთაურის დროებით შემსრულებლად არჩეულმა ალი რიზა ბეგმა მთავრობის მეთაურად არჩევა იბრაჰიმ ბეგს წერილობით აცნობა. ასევე, ალი რიზა ბეგი მიერ ფაჰრეთინ ბეის მისამართით გადაგზავნილ 18. 01 1919 წლის მემორანდუმში იუწყებოდა, რომ ფაჰრედდინ ბეგი პარლამენტის მიერ არჩეულ იყო საგარეო საქმეთა მინისტრად. მას, იბრაჰიმ ბეის ხელმძღვანელობით ჩასატარებელ მთავრობის სხდომაზე, მოეთხოვებოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს დასაკომპლექტებლად განსაზღვრული ადამიანთა სია და სამინისტროს ხარჯების ნუსხის წარდგენა (Kirzioglu, 1960: 18-20).

ჯიჰანგიროზადე იბრაჰიმ ბეგმა რამდენიმე დღეში მთავრობის დაკომპლექტება დაიწყო. 1919 წლის 20 იანვარს საკუთარი ძმა ჰასან ხანი ვიცე-პოლკოვნიკის წოდებით სამხედრო მინისტრად დანიშნა. გუბერნიებსა, ყაზებსა და ნაჰიებში, სადაც არ იყვნენ დანიშნული ადგილობრივი მმართველები, დირექტორები დანიშნა. მთავრობის წარმომადგენელთა კრების შემდეგ, გადაწყდა, რომ ჩატარებულიყო პარლამენტის არჩევნები. დროის მოგების მიზნით, იბრაჰიმ ბეგი მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია ტელეფონით და დეპუტატთა გუბერნატორებს აცნობა და მოითხოვა, რომ 10000 მაცხოვრებელზე აერჩიათ ერთი დეპუტატი. ეს არჩევნები უნდა გაგრძელებულიყო მარტის დასაწყისამდე. ხოლო, სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის დროებითი ეროვნული მთავრობის პარლამენტს მუშაობა 1919 წლის 1 მარტს უნდა დაეწყო. ამ პერიოდში იაყუბ შევქი ფაშამ 1919 წლის 25 იანვარს ყარსიდან გაიყვანა თურქული ჯარი და არზრუმში გადავიდა. ინგლისის სამხედრო გუბერნატორი ტემპერლი „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მთავრობის“ არსებობას დაეთანხმა. მთავრობის ჯარის შემადგენლობა 8000 კაცამდე იყო. იგი, იაყუბ შევქი ფაშას მიერ ნაწილობრივ იყო სამხედრო შეიარაღებით უზრუნველყოფილი. ჯიჰანგიროზადე ჰასან ჰანმა 1919 წლის 19 თებერვალს, იმავე იაყუბ ფაშას შუამავლობით, ოსმალეთის სამხედრო სამინისტროს წერილობით მიმართა და 7 მილიონი ლირა ვალად, სამხედრო ექიმები და სამხედრო აღჭურვილობა მოითხოვა. წერილში მითითებულია ის მხარეები რომელთაც მოიცავდა „სამხრეთ-დასავლეთი ყარსის მთავრობა“ ბათუმიდან ახალციხის, არტანის, ოლთისის, ყალიზმანის, ილდირის, შავშეთის, ქამერლის, ნახიჭევანის, არტანუჯის ჩათვლით. ასევე წერდა, რომ ახალციხე და ახალქალაქი ქართველებისგან გაწმინდეს და საკუთარ „მთავრობას“ შეუერთეს. აქვე არის 1919 წლის 18 იანვარს შეკრებილი ქალაქ ბათუმის და მისი მხარის „უჩასკების“ წარმომადგენლების კრების გადაწყვეტილება, რომ ისინიც შეუერთდებოდნენ და მხარს დაუჭერდნენ „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მთავრობას“. ეს გადაწყვეტილება წერილობით ეცნობა აღნიშნული „უჩასკების“ და ქალაქის მოსახლეობას³⁵. ამავე განცხადებაში წერია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება დამატებით მუხლებთან ერთად გადაეცემოდა ინგლისის სამხედრო მეთაურობას³⁶. ხელს აწერენ ართვინის უჩასკის

³⁵ იგულისხმება ქალაქი ბათუმი.

³⁶ იგულისხმება ინგლისის სამხედრო მეთაურობა ბათუმში.

წარმომადგენელი შექიბ ბეგ ათაბეგზადე, გონიოს უჩასტკის - ალი ეფენდი აბდი ეფენდიზადე, ზემო აჭარის უჩასტკის - ალი რიზა (აჯარა) ეფენდი, ქვემო აჭარის უჩასტკის - ჰულუსი ალა აბდი ალაზადე, შავშეთის უჩასტკის - ალი ალა ემინალაოღლუ, არტანუჯის უჩასტკის - თევფიკ ეფენდიზადე, ბათუმის უჩასტკის - ჰუსეინ ბეგ იენიზადე. სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის საზღვრები მოიცავდა ტერიტორიას ბათუმიდან ორდუბადამდე და შეადგენდა 40.000 კვადრატულ კილომეტრს (Gökdemir, 1998: 93-96).

თ) სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის დროებითი ეროვნული მთავრობის აქტივობები

სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მესვეურთა აზრით მთავრობის შექმნა ეფუძნებოდა ვილსონის პრინციპებს. სწორედ ამიტომ ჰქონდა ამ მთავრობის ხელმძღვანელობას იმედი, რომ მას ვილსონი, ინგლისი მეფე ჯორჯი, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი პუანკარო, პარიზის სამშვიდობო კონფერენცია, ხმელთაშუაზღვის სამხედრო ხელმძღვანელობა და ოსმალეთის დედაქალაქში მყოფი ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის კომისიების წარმომადგენლობა მას აღიარებდნენ. სამხრეთ - დასავლეთი კავკასიის მთავრობის ცნობისა და მისი მუსლიმი მოსახლეობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით ზეინელ ალაოღლუ თბილისში, სერვერ ბეგი ბათუმში, მარტის დასაწყისი კი საგარეო საქმეთა მინისტრი ფაჰრედდინ ბეგი ერზრუმში გაიგზავნენ. ამავე მიზნით სტამბოლში უფრო ადრე წარმომადგენლად დანიშნული ასაფ და ალი ბეგები აგრძელებდნენ საკუთარ საქმიანობას. ბათუმში ამ მთავრობის ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო იყო „სადა-ი მილეთი“. ხოლო, არზრუმსა ტრაპიზონში გამოსული გაზეთები, შესაბამისად „ალბაირაქი“ და „ისთიკბალიც“ სამხრეთ დასავლეთი კავკასიის მთავრობას ეხმარებოდნენ. (Gökdemir, 1998: 97). ეროვნული მეჯლისმა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ რუსი, ბერძენი და სხვ. ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო: 1) სამხრეთ - დასავლეთი კავკასიის სახელმწიფო, რომელიც მოიცავს ბათუმისა და ყარსის ვილაეთებს, ახალციხისა და სურმელის ყაზებს, ახალქალაქის და ეჩიმაძინის მუსლიმებით დასახლებულ ყაზებს, არის დამოუკიდებელი სახელმწიფო. აღნიშნულ ტერიტორიაზე უნდა გამოცხადებულიყო რესპუბლიკა. ეროვნული მეჯლისი არ იტყოდა უარს ბათუმში, ყარსსა და არტანუჯი ხალხის მიერ გამოხატულ სურვილზე, რომ ისინი ოსმალეთს ყოფილიყვნენ მიერთებული. ამას გარდა, ეროვნული მეჯლისის სურვილი იყო, რომ დადასტურებულიყო ადრინდელი პლებისციტის შედეგები³⁷, ან თუ კონფერენცია³⁸ მიიღებდა გადაწყვეტილებას ახალი პლებისციტის შესახებ, მაშინ პლებისციტი უნდა ჩატარებულიყო ეჩიმაძინის, სურმელის და ახალქალაქის რაიონების დასავლეთ ნაწილებშიც. 2). ეროვნული მეჯლისის (მთავრობის) გადაწყვეტილებები, შესაძლებლობის გაჩენისთანავე, ყარსის მთავრობის დელეგაციის მიერ მოკავშირეთა სახელმწიფოების წარმომადგენლებს პარიზის კონფერენციაზე ეცნობებოდა. 3). ეროვნული მეჯლისი, დროებითი მთავრობის შექმნის შესახებ შესაბამის ინფორმაციას და მიღებულ გადაწყვეტილებებს აცნობებდა როგორც საკუთარ მოსახლეობას, ასევე მეზობელ სახელმწიფოებს (Atabek, 1919: 5-6). სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მთავრობის შექმნასთან დაკავშირებით საქართველოსა და სომხეთის მთავრობებს ურაცოფითი რეაქცია ჰქონდათ (Gökdemir, 1998: 99). ჟორდანამ გააკრიტიკა ინგლისელთა პოლიტიკა იმის გამო, რომ ისინი ეხმარებოდნენ მეამბოხეებს და იმაშიც, რომ ინგლისელებმა ამით აიძულეს ქართული ჯარი წესრიგის აღდგენის მიზნით ძალა

³⁷ იგულისხმება 1918 წლის ივნისის (ივლისის) ჩატარებული პლებისციტი.
³⁸ იგულისხმება პარიზის სამშვიდობო კონფერენცია.

გამოყენებინა (ნოზაძე, 1989:50). ინგლისთა მიერ ყარსის მუსლიმურ საბჭოსადმი გამოჩენილი ტოლერანტობა გააკრიტიკა ქართულმა პრესამაც. ასევე, ქართულ პრესაში აღინიშნა, რომ საქართველოს ჰქონდა პრეტენზია სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის ჩრდილოეთ ტერიტორიებზე და განსაკუთრებით არტაანის მიმართ (Hovannisian, 1971:211). საქართველოსა და სომხეთის პრეტენზიებთან დაკავშირებით, აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა გენერალ ტომსონს განუცხადა, რომ სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მუსლიმებს თვითგამორკვევის უფლება ჰქონდათ (Каземзаде, 2010:192). ასევე, აზერბაიჯანის მთავრობამ ფაქტიურად აღიარა სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მთავრობა და ამით მას მხარდაჭერა გამოუცხადა (Гаджиев, 2004,44-74). ინგლისელებმა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ამ ახლადშექმნილი რესპუბლიკის ბედის გადაწყვეტამდე, მისი დაცვა ითავეს (Hovannisian, 1971: 211). ბათუმში ჩასული სერვერ ბეგი, ბათუმის დეპუტატებთან აბდიალაზადე ალი ეფენდისა და ალი რიზა ეფენდისთან ერთად ინგლისის სამხედრო მისიის ხელმძღვანელობასთან მივიდნენ. ინგლისელმა გენერალმა არიმე?-მ³⁹ მუსლიმების ინტერესების დაცვის სიტყვა მისცა (Gökdemir, 1998:100). განუახლდათ რწმუნებულებები სტამბოლში მყოფ ყარსის მთავრობის წარმომადგენლებს. ასაფ ბეგს მიეცა დავალება ყარსის მთავრობის არსისა და მიზნების შესახებ ეცნობებინა სტამბოლში მყოფ ანტატისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენელთათვის (Kirzioğlu, 1960:25).

ყარსის მთავრობის სასაზღვრო დეკლარაციის მიხედვით საქართველოს თანამედროვე ტერიტორიებიდან მასში გაერთიანებული იყო აჭარა ბათუმითურთ, ადიგენის რაიონი, აწყურის და ხერთვისის მხარეები (Kirzioğlu, 1960:38).

სოფელ ბუღდაშენიდან⁴⁰ მოყოლებული ახალქალაქის საზღვრის გავლით ახალციხესა და ახალქალაქს შორის მდებარე ტრუსუკის⁴¹ საზღვრიდან მთიანი და ტყიანი მხარე „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მთავრობას“, ხოლო ახალქალაქი საქართველოს უნდა დარჩენოდა, აქედან (დასავლეთით) ბორჯომ-ახალციხეს შორის და ბორჯომიდან ექვსი კილომეტრი დასავლეთით, ჩრდილოეთი მთის მიმდებარედ. ჩრდილოეთით: ბორჯომიდან ექვსი კილომეტრი დასავლეთით საზღვარს უნდა გაევილო ტყიან ნაწილზე. აბასთუმნზე გავლით და აჭარის ჩრდილოეთში მდებარე დიდი მთის გაყოლებით, ბათუმის ჩრდილოეთით ოზურგეთის უკანა მხარეს მდებარე პატარა მთა გასწვრივ და შავ ზღვასთან უნდა დასრულებულიყო (Kirzioğlu, 1960:27). რაც შეეხება საქართველოსთან საზღვრის ნაწილის კიდევ უფრო დეტალურ აღწერას, აქ ნათქვამია, რომ მას უნდა გაევილო ა) შავი ზღვასთან (ჩრდილოეთით) მდინარე ჩოლოქის შესართავიდან აღმოსავლეთისკენ, შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ ბათუმისა და ახალციხის საზღვრების გასწვრივ ახალქალაქის საზღვრამდე. ბ) ახალქალაქის რაიონში საზღვარმა უნდა წამოსულიყო სამხრეთის მიმართულებით, სოფლების გოკიოს, ალასტნის, ვარეენის, თოკის, ავჯივის, კვარშას, ქილდის, ნაქალაქევის, ჰუნდის⁴², ფერთანალიას, დანკალის, ქარცების, ოკმის აღმოსავლეთით და გაგრძელებულიყო სოფლების ერინჯას, დავნიას, ხავეთის, მრაკვალის,

³⁹ ავტორს თავად აქვს კითხვის ნიშანი დასმული, როგორც ჩანს მის მიერ გამოყენებულ წყაროში (გაზეთი Söz, 22 Şubat 1335 (1919), Nu:99, s.1) არასწორად იყო მითითებული.

⁴⁰ ეს სოფელი მდებარეობს ახალქალაქის მუნიციპალიტეტში.

⁴¹ სავარაუდოდ უნდა იყოს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელი ტურცხი. თუმცა, გაუგებარია რატომ არის მითითებული როგორც ახალციხესა და ახალქალაქს შორის მდებარე პუნქტი, რადგან იგი გაცილებით შორსაა ახალციხიდან.

⁴² სოფელი წუნდა

ავლახის სამხრეთით არტაანის ლივის საზღვრამდე.⁴³ აქედან საზღვარი აღმოსავლეთით უნდა გაგრძელებულიყო. გ) ახალქალაქის, არტაანის და ყარსის ლივების საზღვრის გაყოლებით გიუმრისა და აქბაბას საზღვრის გასწვრივ არფაჩაიამდე (Kırzioğlu, 1960:38-39).

„სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მთავრობის“ მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 1 738 478. აქედან 1 538 824 იყო თურქი და მუსლიმი. 227 324 ათასი იყო სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი (Erdoğan, 1954:261). აღსანიშნავია ისიც, რომ სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მთავრობა თავისი არსებობის ბოლო დღემდე ცდილობდა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე დასწრების უფლება მიეღო და თავისი არსებობის აუცილებლობა დაედასტურებინა, რასაც 1919 წლის 11 აპრილით დათარიღებული მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის ფაჰრეთინ ბეგის და პარლამენტის წევრის ალაზადე ჰასან ბეგის ხელმოწერით გაგზავნილი დეპეშა მოწმობს. იგი გადაეგზავნა სტამბოლში სასტუმრო იმპერიალში მყოფ „ყარსის მთავრობის“ პარიზში წასასვლელი დელეგატის - ადილ ბეგს. აქვე ეწერა, რომ დელეგატ - ბეჰჩეთ ბეგს უფლებამოსილება შეუწყდა. აქვე მითითებულია, რომ დელეგატების სტატუსით სტამბოლისკენ ახალციხის დელეგატი სერვერ ბეგი, ბათუმის დელეგატები - ჰემშიზადე ჯემალ და თემურ ფაშები მიემგზავრებოდნენ. 1919 წლის 12 აპრილს, დილით, ინგლისელთა მიერ ყარსის მთავრობის დაშლა-დათხოვნამდე, ყარსის მთავრობის მეთაურის ხელმოწერით სტამბოლში მყოფ ანტანტის ქვეყნების წარმომადგენლების შუამავლობით დეპეშა გაეგზავნა პარიზის კონფერენციაში მონაწილე ანტანტის ქვეყნების მეთაურებს: სტამბოლში ინგლისის წარმომადგენლის საშუალებით - ლოიდ ჯორჯს და სტამბოლში საფრანგეთის წარმომადგენლის საშუალებით სამშვიდობო კონფერენციის კომიტეტს. სადაც ყარსის მთავრობის მეთაური ითხოვდა ყარსის მთავრობის დელეგაციის დასწრებას კონფერენციაზე, იმავე მიზეზით, რომ კონფერენციაზე დასასწრებად დაუშვეს კავკასიაში ახლადშემდგარი სახელმწიფოების დელეგაციები. ყარსის მთავრობის დელეგაციის მეთაურად დანიშნულ იყო ოსმან სერვერ ბეგი. წევრები: ასაფ ბეგი, ბეჰჩეთ ბეგი, ადილ ბეგი, ბათუმიდან თემური და ჯემალი, ადვოკატი ალი ბეგი (Gökdemir, 1998:124-125). საგარეო საქმეთა მინისტრის ფაჰრეთინ ერდოღანის მიერ სტამბოლში საკუთარი წარმომადგენლებისადმი გაგზავნილი 1919 წლის 17 აპრილის დეპეშიდან ჩანს, რომ ჯემალი და თემურ ფაშები და სერვერ ბეგი სტამბოლში ბათუმიდან გამგზავრდნენ.

4. მაჰმადიანთა მეორე აჯანყება სამცხე-ჯავახეთში

მუდროსის ზავის პირობების თანახმად ოსმალეთის არმიამ სამცხე-ჯავახეთის მხარე დატოვა. 1918 წლის 3 დეკემბერს საქართველოსა და ოსმალეთს შორის დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების ძალით თურქულმა სამხედრო შენაერთებმა სამცხე-ჯავახეთი დატოვეს. საქართველოს მთავრობამ დაცლილი მაზრების დაკავება და იქ წესრიგის დამყარება გენერალ ბალო მაყაშვილს დაავალა. მაყაშვილი დაინიშნა, ასევე, მხარის გენერალ-გუბერნატორად. მან მთავრობას სთხოვა, მისთვის სრული უფლება მიეცა, რომ ადგილობრივი მოსახლეობისათვის განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, იარაღი ჩამოერთმია და ბნელი ძალებისგან გაეწმინდა ეს მხარე. რაზედაც მთავრობისგან დასტური მიიღო (საითიძე, 1999:314).

⁴³ ჩამოთვლილი სოფლების სახელების უმეტესობა დამახინჯებულად არის გადმოცემული. ეს ბუნებრივიცაა, რადგან თურქული ენა განსხვავებულად აღიქვამს ქართულ ტოპონიმებს.

როგორც ჩანს, მაცაშვილს წესრიგის დასამყარებლად მართლაც გაუტარებია სათანადო ზომები. მკვლევარ გოქდემირის მიხედვით 1918 წლის 11 დეკემბერს ქართველებმა „ყარსის ეროვნული საბჭოს“ და სომეხთა რამდენიმე ლიდერი დააპატიმრეს და სხვადასხვა ადგილებში გადაასახლეს (Gökdemir, 1998:126-127).

„სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მთავრობის“ დაარსებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 1919 წლის თებერვლის დასაწყისში ახალციხესა და ახალქალაქში თურქებსა⁴⁴ და ქართველებს შორის დაპირისპირება მოხდა (Gökdemir, 1998:32).

უნდა აღინიშნოს ისიც, ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის გაუქმებამ ადგილზე სამოქალაქო/პარტიული/ და სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის შეუთანხმებლობა გამოიწვია. სამცხე-ჯავახეთში მიმდინარე მოვლენებს დაემთხვა 1918 წლის 10 დეკემბერს დაწყებული სომხეთ-საქართველოს ომი. გენერალმა მაცაშვილმა ჯავახეთში შემოჭრილი სომხური სამხედრო რაზმების წინააღმდეგ ოპერაცია 1918 წლის 16 დეკემბერს დაიწყო და 20 დეკემბერს წარმატებით დაასრულა (საითიძე, 1999:317-319).

მიუხედავად სომეხ-ქართველთა 12 დღიანი ომის დასრულებისა სამცხე-ჯავახეთში დამაბულობა არ ჩამქრალა. დაპირისპირება „სამხრეთ დასავლეთი კავკასიის მთავრობასა“ და ადგილობრივ ქართულ ხელისუფლებას შორის კვლავ გრძელდებოდა.

1919 წლის იანვრის ბოლოს სერვერ-ბეგის სამხედრო ოპერაციებმა ორგანიზებული სახე მიიღო და რამდენიმე ქართულ სადარაჯო რაზმს უკან დახევა მოუწია. თუმცა, მაცაშვილმა 22 იანვარს შეძლო სერვერ-ბეგის მიერ დაკავებული სოფლების გათავისუფლება. მაგრამ, 30 იანვარს მაცაშვილმა კვლავ უკან დაიხია (სახალხო საქმე, 1920:№865).

მცირერიცხოვან ქართულ ჯარს სერვერ ბეგის მეთაურობით მოქმედი სამხედრო რაზმებისთვის წინააღმდეგობის გაწევა გაუჭირდა. მითუმეტეს, მთავრობის საგანგებო რწმუნებულის მიერ გატარებული კურსით ადგილობრივ მოსახლეობაში უკმაყოფილება დიდი იყო (საითიძე, 1999:317-321).

როგორც გოქდემირი მიუთითებს, „ყარსის ეროვნული საბჭოს“ წევრმა ოსმან სერვერ ბეგმა, რომელიც ბათუმში იმყოფებოდა, ინგლისელთა სამხედრო წარმომადგენელთან უოლკერთან და ინგლისის სამხედრო ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან შეხვედრები გამართა ქართველთა მიერ დაპატიმრებული მისი ხალხის გათავისუფლებასთან დაკავშირებით, მაგრამ უშედეგოდ. დაიწყო მუსლიმთა ხელახალი შეტევა ქართულ სამხედრო ნაწილებზე. ახალციხეში სერვერ და აფხალ ბეგების, ახალქალაქში კაიმაკამ⁴⁵ იასინის და ოსმალეთის აზერბაიჯანული პოლკის გადაზიდვის ოფიცერის მურთაზა ბეგის ხელმძღვანელობით შეკრებილმა მუსლიმებმა 1919 წლის 2 თებერვლისთვის ახალციხესა და ახალქალაქიდან ქართული სამხედრო ნაწილები სრულიად განდევნეს (Atabek, 1919:15-16).

⁴⁴ ავტორი ადგილობრივ მუსლიმებს ყველას თურქად მოიხსენიებს. ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება და მიუხედავად მათი ეთნიკური წარმომავლობისა, ისინი თურქულ ლიტერატურაში ახალციხელ თურქებად იხსენიებიან.

⁴⁵ უთანაბრდება ვიცე-პოლკოვნიკის წოდებას.

სავარაუდოდ, შექმნილი სიტუაციის გამო სამხედრო სამინისტრომ გენერალი მაცაშვილი თანამდებობიდან გადააყენა (სახალხო საქმე, 1920: №865). მის ნაცვლად დაინიშნა გენერალი მაზნიაშვილი (მაზნიაშვილი, 1927:133). 14 თებერვალს გენერალი კვინიტაძე, გენერალ მაზნიაშვილის თხოვნით დაინიშნა ახალციხის ქართული სამხედრო ნაწილების შტაბის უფროსად. თუმცა, ორი დღის შემდეგ სამხედრო სამინისტრომ გენერალი მაზნიაშვილი უკან, თბილისში გაიწვია და მის ნაცვლად დაინიშნა გენერალი კვინიტაძე (მაზნიაშვილი, 1927:143). გენერალი კვინიტაძის ხელმძღვანელობით ჩატარებული სამხედრო ოპერაციების შედეგად ქართულმა სამხედრო ნაწილებმა დაამარცხეს „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მთავრობის“ სამხედრო შენაერთები და 1919 წლის 20 აპრილს არტაანი აიღეს (Квиницадзе, 1985 :125).

5. სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მთავრობისა და პარლამენტის ლიკვიდაცია.

სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მთავრობის ბედი მარტის თვის დასაწყისში გადაწყდა (Gökdemir, 1998:146). 1919 წლის 10 მარტს ბაქოდან კავკასიაში ინგლისის სამხედრო წარმომადგენლობის მეთაურად გენერალ ტომსონის დანიშვნის შემდეგ მოვლენები „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მთავრობის“ საწინააღმდეგოდ წარიმართა. ტომსონის თბილისში მოსვლის შემდეგ ინგლისის სამხედრო წარმომადგენლების; ყარსის, ერევნის, ახალქალაქის და ნახიჭევანის ადგილობრივი მთავრობების; ინგლისელთა სამხედრო ფორპოსტების მეთაურთა ანგარიშები სრულიად „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის“ საწინააღმდეგოდ იყო წარდგენილი, რაც საკმარისი გახდა იმისთვის, რომ ტომსონი დარწმუნებულიყო სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მთავრობის ტერიტორიის ქართველებსა და სომხებს შორის გადანაწილების აუცილებლობაში. მან, სტამბოლში მყოფ ინგლისის მთავარ სამხედრო წარმომადგენლობას ყარსში მყოფი ინგლისური გარნიზონის გასამლიერებლად ნებართვა სთხოვა. 1919 წლის 14 მარტს ქართველი და სომეხი წარმომადგენლები გენერლის ამ აზრს დაეთანხმნენ და ორივე ქვეყნის საკითხის გადაწყვეტის საკითხი დღის წესრიგში დააყენეს. ტომსონის მიერ წამოყენებული შეთანხმების მიხედვით სომხებს უნდა დაეკავებინათ ყარსი, ყალიზმანი და ქართველების მიერ დაჭერილი არტაანის ჩრდილოეთი ნაწილის გარდა, არტაანის მხარის ტერიტორია; ხოლო ქართველებს, არტაანის მხარის ჩრდილოეთი ნაწილი, ახალქალაქი, სოფელი ალავერდი და ბორჩალოს ჩრდილოეთი მხარე მადნებითურთ, სოფელი სანაინი რკინიგზის სადგურითურთ (Hovannisyan, 1971 : 212-213).

გენერალი მილნი ზემოაღნიშნულ საკითხში თავის მოადგილის შეხედულებას ეთანხმებოდა. მიუხედავად ამისა, მილნეს ყარსის გარნიზონის გამლიერება არ სურდა. თუმცა, ინგლისის ომის დეპარტამენტის განკარგულება განსხვავებული იყო. რადგან, აღნიშნულ დეპარტამენტს არ სურდა რეგიონში შესაძლო საომარ დაპირისპირების გამო ინგლისელი ჯარისკაცების სიცოცხლე საფრთხეში ჩაეგდო. ამიტომ, ზემოაღნიშნული დეპარტამენტის წინადადება იყო ადგილზე არსებული ინგლისური ძალების და ადგილობრივი ძალების მეშვეობით გაკეთებულიყო ის, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა. აღნიშნულის საფუძველზე ტომსონმა შეცვალა საკუთარი პოლიტიკა და ახალი გეგმა მოამზადა. რის მიხედვითაც უნდა გადაეყენებინათ ყარსის ინგლისის სამხედრო გუბერნატორი და მის მაგივრად დაენიშნათ ვიცე-პოლკოვნიკი პრესტონი. ხოლო ასერს მიენიჭებოდა სამხედრო წარმომადგენლის წოდება. ყარსში დისლოცირებული ინგლისელთა მე-4 ფეხოსანთა რაზმი უკან უნდა გაწვეულიყო და მეტი უფლებები უნდა მისცემოდა „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მთავრობას.“ ამ გეგმის განხორციელების

მიზნით, 26 მარტს გენერალმა ტომსონმა პრესტონი ყარსში ჩაიყვანა (Aydın,&Ergün, 2019:321).

ამავე პერიოდში, 1919 წლის 25 მარტს „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მთავრობის“ პარლამენტის სხდომაზე დამოუკიდებლობა გამოცხადდა (Aslan&Tekir, 2010:6).

ამ დროის შემდგომ ოფიციალურ მიმოწერებში „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მთავრობა“ იწოდებოდა როგორც „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის რესპუბლიკა“, ხოლო მთავრობის მეთაური ჯიჰანგიროღლუ იბრაჰიმ ბეი - პრეზიდენტად (Gökdemir, 1998:147).

დამოუკიდებლობის გამოცხადების დეკლარაციის შედგენა და გავრცელება დაევალა ერზრუმში მყოფ საგარეო საქმეთა მინისტრს ფაჰრეთთინ ერდოღან ბეგს. აღნიშნული დეკლარაციის შემუშავება და გამოცემა დაგვიანდა (1919 წლის 17 აპრილი). რადგან, 12 აპრილს ინგლისელთა მიერ „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის რესპუბლიკის“ მთავრობა უკვე ლიკვიდირებულ იყო. დეკლარაციაში შეტანილ ტერიტორიებში შედიოდა ყარსის, ბათუმის, არტაანის, ყალიზმანის, ოლთისის, ნახიჭევანის, ართვინის, ბორჩხის, მურღულის, ჩურუქსუს,⁴⁶ დიდი და პატარა აჭარის, არტანუჯის, შავშეთის, ფოცხოვის, ახალციხის, ახალქალაქის, ჩილდირის, აქბაბას, შურეგელის, ზარშადის, ფენექის,⁴⁷ სარიყამიშის, ხორასნის⁴⁸, დიგორის, სურმელის, ილდირის, შერურის, შახტახტის, იენიჯეეს, ჯულფის, ორდუბადის მხარეები; სულ 1. 763. 148 მოსახლით, საიდანაც 237. 324 კაცი იყო არამუსლიმი. ტერიტორიის ფართობი შედაგენდა 40.000 კვ.კმ-ს (Erdogan, 1954: 201-203).

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ჯიჰანგიროღლუ იბრაჰიმ ბეი არტაანში გაემგზავრა, სადაც ფოსოფის საზღვარზე მდგარ ქართული სამხედრო შენაერთების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებები უნდა დაეგემა. ყარსში მისი არყოფნის გამო, გენერალი ტომსონი შეხვდა „რესპუბლიკის“ შინაგან და სამხედრო მინისტრებს, შესაბამისად, ალი რიზა და ჰასან ხან ბეგებს. ტომსონმა განაცხადა, რომ ყარსიდან მიდიოდა და იბრაჰიმ ბეისთან შეხვედრა ან გიუმრიში, ან ერევანში ანაც თბილისში მოითხოვა (Gökdemir, 1998: 148).

აღსანიშნავია ისიც, რომ ყარსში სამხედრო გუბერნატორად დანიშნულ პრესტონს გადაეგზავნა საიდუმლო ცირკულარი, რომ თუ არ ირღვეოდა ადამიანის უფლებები და ინგლისელი ჯარისკაცები ადგილზე მომხდარი მოვლენების მსხვერპლად არ იქცეოდნენ, ადგილობრივი „მთავრობისთვის“ უფლებები გაეზარდა და შიდა საქმეებში თავისუფლება მიეცა (Gökdemir, 1998:150). თუმცა, ეს ბრძანება მალევე იქნა გაუქმებული (Hovannisian, 1971:214). რადგან ინგლისელებმა ევროპის უმაღლეს საბჭოს მიმართეს და მიუთითეს, რომ საჭირო იყო ყარსის მხარის გადაცემა სომხეთის რესპუბლიკისთვის და ამ მიზანის განსახორციელებლად ამ მხარეში ინგლისის სამხედრო ნაწილებს გააგზავნიდნენ. ევროპის უმაღლესი საბჭო ინგლისელთა წინადადებას დაეთანხმა (Gökdemir, 1998: 150).

ამავე პერიოდში გენერალმა მილნემ კავკასიაში დაზვერვის ოფიცერი ვიცე-პოლკოვნიკი რავლინსონი გამოაგზავნა ოსმალეთის აღმოსავლეთის ვილაეთებში. სადაც მას უნდა გამოერკვია 1. ოსმალეთის ტერიტორიაზე „ერთობისა და პროგრესის პარტიის“

⁴⁶ ქობულეთი

⁴⁷ ბანა

⁴⁸ იგულისხმება დღევანდელ ყარსის გუბერნიაში მდებარე ხორასნის რაიონი.

წევრების საქმიანობა, რომელიც ომში დამარცხების გამო შურისძიებით იყო განპირობებული; 2. სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის ხელისუფლების მიერ გამოწვეული მემბოხე ქმედებები; 3. სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაში თურქი ოფიცრების ხელმძღვანელობით მუსლიმებისგან შემდგარი უკანონო ფორმირებების თავისუფლად მოქმედების საკითხი. რავილსონის დასკვნით, სანამ თურქები უკან იხევდნენ, ისინი მხარს უჭერდნენ და ხელს უწყობდნენ ამ მხარეში არეულობას, რათა უზრუნველყოთ თათრების⁴⁹ მიერ ყარსში დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადება. რადგან, თუ ეს რეგიონი მუსლიმური რესპუბლიკა გახდებოდა, მისი პოლიტიკური ტენდენციები უფრო თურქეთისკენ იქნებოდა გადახრილი და არა რუსეთისკენ. აქედან გამომდინარე, ინგლისის ხელმძღვანელობამ ევროპის უმაღლეს საბჭოს ყარსის მხარის სომხეთის რესპუბლიკისთვის გადაცემის აუცილებლობისა და ამ მხარეში ინგლისის სამხედრო ნაწილების გადასროლის შესახებ აცნობა. რავილსონი, გენერალ ტომსონთან ერთად ყარსში 1919 წლის 26 მარტს ჩავიდა და 30 მარტამდე დარჩა. სწორედ ამ პერიოდში, სათანადო დოკუმენტებზე დაყრდნობით, გააკეთა მან საკუთარი დასკვნები და ანგარიშის სახით ინგლისის სამხედრო მეთაურობას წარუდგინა (Gökdemir, 1998:150-151).

1919 წლის მარტის ბოლოს მიღწემა „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მთავრობის“ ლიკვიდაცია გადაწყვიტა. ის, აპრილის თვეში სტამბოლიდან ბათუმში ჩავიდა და გენერალ ტომსონთან ერთად ზემოაღნიშნული მთავრობის ლიკვიდაციის გეგმა მოამზადა. ყარსის სამხედრო გუბერნატოს პრესტონს დეპეშით აცნობა, რომ ჩასატარებელი სამხედრო ოპერაციის გეგმისთვის ხელახლა გადაეხედა და მოკლე ხანში დამატებითი სამხედრო ძალებით ყარსში მისავლენ გენერალი დივის ხელმძღვანელობით ემოქმედა. ტომსონმა ჯერ კიდევ ბათუმში ყოფნისას 1919 წლის 2 აპრილს ერევანში დისლოცირებულ 82-ე ფეხოსანთა დივიზიის მეთაურს გენერალ დივის უდეპეშა და მზადყოფნაში მოსვლა უბრძანა. შემდეგ აცნობა, რომ დივი 27-ე არმიის სამხრეთი სარდლობის მეთაურად დაინიშნა და მას „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მთავრობის“ ლიკვიდაციისთვის სათანადო ინსტრუქციები მისცა. სადაც აღნიშნული იყო, რომ ყარსის ვილაეთი და ნახიჭევანის მხარე სამშვიდობო კონფერენციის მიერ სომხეთის მთავრობას გადაეცემოდა; უნდა გაუქმებულიყო ბორჩალოს მხარის სამხედრო ადმინისტრაცია და ეს მხარეს საქართველოს ან სომხეთს უნდა გადასცემოდა, ან მათ შორის უნდა გაყოფილიყო (Gökdemir, 1998: 152-153).

რაც შეეხება „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის რესპუბლიკას“ მასთან დაკავშირებით გენერალ დივის რვა პუნქტიანი ინსტრუქცია მიეცა. აღნიშნულის მიხედვით დივის „რესპუბლიკის“ ლიკვიდაცია უნდა მოეხდინა, მთავრობის წევრები დაეპატიმრებინა და თბილისში ჩაეყვანა, უზრუნველყო ინგლისელი ჯარისკაცების უსაფრთხოება, ყარსის მხარიდან 1914 წლის საზღვარს იქით გადასული სომხური მოსახლეობისთვის უკან დაბრუნების საშუალება მიეცა, ადგილზე სომხური ხელისუფლების ფორმირებამდე შეედგინა ადგილობრივი მთავრობა, „მთავრობის“ ლიკვიდაციის შესახებ პროკლამაციები თვითმფრინავის საშუალებით ჩამოეყარა და რეგიონში გაეგრძელებინა, 1919 წლის 30 აპრილამდე უზრუნველყო ლიკვიდაციის და ინგლისური სამხედრო ნაწილების რეგიონის გარეთ გაყვანის საქმე (Hovanissian, 1971: 214-216).

⁴⁹ ადგილობრივ მუსლიმთა აღსანიშნავი ზოგადი სახელწოდება.

მიღებული ინსტრუქციების საფუძველზე 82-ე დივიზიის მეთაური გენერალი დივი 1919 წლის 6 აპრილს მე-13 მსუბუქი ბრონირებული ბატარიის ოთხი ბრონირებული მანქანით ყარსში შევიდა. მომდევნო დღეს მატარებლით ყარსში ჩაყვანილ იქნა მე-6 და მე-2 დივიზიონები. 9 აპრილს მათ მოჰყვნენ პირველი ბატალიონი და 23-ე სანიტარული კორპუსი. დამხმარე სამედიცინო, საინჟინრო და არტილერიის კონტინგენტსა და ინდურ ბატალიონებთან ერთად ყარსში ინგლისელთა გარნიზონი 2000-2500 კაცამდე გაიზარდა (Hovanissian, 1971:217). ამის შემდეგ გენერალმა მილნემ ლონდონს აცნობა, რომ მან „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მთავრობის“ წევრების და თურქი ოფიცრების დაპატიმრების ბრძანება გასცა. ლონდონიდან დადებითი პასუხი მიიღო. სადაც აგრეთვე, აღნიშნული იყო, რომ ინგლისის მთავრობა თანამშრომლობდა ერზრუმში დისლოცირებულ ოსმალეთის მე-9 არმიასთან იმასთან დაკავშირებით, რომ „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მთავრობამ“ საზავო ხელშეკრულების წინააღმდეგ მოქმედება დაიწყო და დაგეგმილ ოპერაციას მიზანშეწონილად მიიჩნევდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ტომსონმა გენერალ მორს 1919 წლის 10 აპრილს „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მთავრობის“ ლიკვიდაციის შესახებ აცნობა. სწორედ ამ დღეს ორი ინგლისელი ოფიცერი დაესწრო „მთავრობის“ სხდომას. საიდანაც შეიტყვეს, რომ 12 აპრილს, პარასკევ დღეს „მთავრობის“ სხდომა კვლავ ჩატარდებოდა. შინაგან საქმეთა მინისტრმა ალი რიზა ბეგმა და სამხედრო მინისტრმა ჯიჰანგიროზადე ჰასან ხან ბეგმა ყარსში დაბრუნება სთხოვეს მთავრობის მეთაურს ჯიჰანგიროლლუ იბრაჰიმ ბეგს, რომელიც ქართულ სამხედრო შენაერთებთან არტანუსა და ფოცხოვის რაიონში მიმდინარე სამხედრო დაპირისპირების ფრონტზე იმყოფებოდა. 10 რიცხვში ყარსში დაბრუნებული იბრაჰიმ ბეგი საკუთარ სახლში შეხვდა პარლამენტის თავმჯდომარეს ესად ბეის და მთავრობის რამდენიმე წევრს. მართალია, მათ სჯეროდათ ინგლისელთა კეთილი ნების, მაგრამ ინგლისელთა სამხედრო კონტინგენტის გაზრდამ და თავმოყრამ ისინი მაინც დააეჭვა. „მთავრობის“ ხელმძღვანელებიდან არავინ ფიქრობდა, რომ ინგლისელები მის ლიკვიდაციას მოახდენდნენ. მითუმეტეს, როცა ჯიჰანგიროლლუ იბრაჰიმ ბეგი 10 აპრილს მეჯლისში მისულ ორ ინგლისელ ოფიცერსაც შეხვდა. პარლამენტმა, ასევე მიიღო შეტყობინება, რომ 12 აპრილს პარლამენტს გენერალი პრესტონიც ეწვეოდა. ამის გამო, ამ დღეს პარლამენტში მივიდა „მთავრობის“ ყველა წევრი (Gökdemir, 1998:154-155).

ინგლისელი სამხედრო გუბერნატორი ვიცე-პოლკოვნიკი პრესტონი ორი ოფიცრისა და რამდენიმე ჯარისკაცის თანხლებით „პარლამენტში“ 1919 წლის 12 აპრილს, შაბათს შუადღის შემდეგ მივიდა. მას დახვდნენ „მთავრობის“ მეთაური და მთავრობის სხვა წევრები პარლამენტარებთან ერთად. იმავე დროს ინგლისელთა სამხედრო ნაწილების მიერ ალყაში მოექცა პარლამენტის შენობა. მცირე სამხედრო ინციდენტისა და მსხვერპლის შემდეგ ინგლისელებმა მთავრობის წევრები დააპატიმრეს, მატარებლით ჯერ თბილისში, შემდეგ ბათუმში, სტამბოლში და იქიდან მალტაში გადაასახლეს (Gökdemir, 1998:156; Aydın,&Ergün, 2019:321).

გადასახლებული მთავრობის წევრები იყვნენ: პრეზიდენტი იბრაჰიმ ბეი, სამხედრო მინისტრი ჯიჰანგიროზადე ჰასან ჰან ბეი, სურსათის მინისტრი იუსუფზადე იუსუფ ბეი, იუსტიციის სამინისტროს მრჩეველი ჯიჰანგიროზადე აზიზ ბეი, „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მთავრობის“ მიერ დანიშნული ყარსის გუბერნატორი ალიბეგზადე მეჰმედ ბეი, პილიციის გენერალური დირექტორი მამილოლლუ თევჰიდუდინი, ქალაქ ყარსის პოლიციის უფროსი სალაჰოლლუ მუსა, ფოსტა-ტელეგრაფის გენერალური დირექტორი

მეჰმედზადე მუჰლისი, რუსების თემიდან პარლამენტის წევრი წარმოშობით პოლონელი სიმომ რაჩინსკი, ვაფიადისი სტეფან, ბერძენთა თემიდან პარლემენტის წევრი პავლო ჩამუშოვი, შინაგან საქმეთა მინისტრი ალი რიზა ბეგი. ამათგან, შინაგან საქმეთა მინისტრმა ალი რიზა ბეიმ ბათუმში დაკითხვისას გაქცევა მოახერხა და ყაღვიზმანში დაბრუნდა (Gökdemir, 1998:157).

ამგვარად, 1919 წლის 12 აპრილს ექვსთვიანი არსებობის შემდეგ „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მთარობა“ ინგლისელთა მიერ ლიკვიდირებულ იქნა (Karabekir, 1969:26).

იმავე დღეს შექმნილი მდგომარეობა, დეკლარაციების სახით, ხალხს ეცნობა. ერთი, 12 აპრილის თარიღით, შედგენილ იყო რუსულ ენაზე, რომელსაც ხელს აწერდა გენერალი დივი. ხოლო მეორე, ჯერ კიდევ 10 აპრილს, თბილისში თურქულ ენაზე იყო დაბეჭდილი, რომელსაც გენერალი ტომსონი აწერდა ხელს. ორივე დეკლარაციით ხალხს სიმშვიდისკენ, შეიარაღებულ პირებს ინგლისელთა სამხედრო მეთაურობის მიმართ მორჩილებისკენ მოუწოდებდნენ. აქვე ნათქვამი იყო, რომ სამშვიდობო კონფერენციაზე გადაწყდებოდა ყველა ერის ბედი (Gökdemir, 1998:157-158).

1919 წლის 13 აპრილს გენერალმა დივიმ მხარეში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. პრესტონმა თავისთან გამოიძახა ძველი მთავრობის რამდენიმე წევრი და მმართველობის დროებითი საბჭოს შექმნა დაავალა. 14 აპრილს ახალი „საბჭო“ შეიკრიბა. იგი შედგებოდა 6 თურქის, 1 ბერძნის და 1 რუსისგან (მალაკანი). წევრებს შორის იყო, აგრეთვე, დოქტორი ესად ბეი (სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მთავრობის პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე). აღნიშნულმა „საბჭომ“ 1919 წლის 30 აპრილამდე იარსება. იგი, ამ დღეს ყარსის სომხეთის მთავრობის განკარგულებაში გადაცემის გამო გაუქმდა (Gökdemir, 1998:160).

ინგლისელთა ზემოხსენებული ოპერაციის დროს „მთავრობის“ საგარეო საქმეთა მინისტრი ფიროღლუ ფაჰრეთთინ ერდოღან ბეი ერზურუმში იმყოფებოდა. მან ეს ამბავი სარიყამიშის გამგებლის ბექირ დიდქი ბეისგან 1919 წლის 17 აპრილს შეიტყო (Aydn,&Ergün, 2019:321).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 1. პირველ მსოფლიო ომში დამარცხების და მუდროსის ზავის პირობების მიუხედავად, ოსმალეთის სამხედრო ხელისუფლება ცდილობდა რაიმე ხერხით შეენარჩუნებინა ბათუმის, ყარსის და არტანის მხარეები. ხოლო, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში ადგილობრივი, ოსმალეთზე ორიენტირებული „მთავრობების“ შექმნისთვის და მათი სამხედრო მომზადებისთვის ხელი შეეწყო. 2. ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებიდან თურქთა სამხედრო ნაწილების გასვლის შემდეგ, ერთის მხრივ ზემოაღნიშნული „მთავრობების“ პროვოკაციულმა ქმედებებმა და მეორეს მხრივ, ადგილობრივი ქართული ხელისუფლების არასწორმა მიდგომებმა რეგიონში სამწუხარო მოვლენები გამოიწვია და ადგილობრივი მუსლიმი და ქრისტიანი მოსახლეობა ერთმანეთს იარაღით დაუპირისპირდა, რამაც მსხვერპლი და ნგრევა მოიტანა. 3. ოსმალეთის სამხედრო ხელისუფლების დახმარებით, ცენტრით ყარსში, შექმნილმა სამხრეთ დასავლეთი კავკასიის რესპუბლიკამ ზემოაღნიშნული სამი სახჯაყის გარდა მიმდებარე ტერიტორიების ჩათვლით, სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება და აღიარებისკენ სვლა დაიწყო. მას სამხედრო კონფლიქტი ჰქონდა როგორც საქართველოს, ასევე სომხეთის დემოკრატიულ რესპუბლიკებთან. რაც შეეხება

აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკას, იგი სამხრეთ დასავლეთი კავკასიის რესპუბლიკას პოლიტიკურად მხარს უჭერდა. 4. ინგლისის მთავრობა დიდ ინტერესს იჩენდა თავისი „სამანდატო ქვეყნებისადმი“. ხოლო სამხრეთ დასავლეთი კავკასიის რესპუბლიკის ლიკვიდაციაში ინგლისის მონაწილეობას განაპირობებდა შემდეგი ფაქტორები: ა). სომხეთისადმი განსაკუთრებული ინტერესი, რომელსაც აღნისნული „რესპუბლიკა“ აშკარად უპირისპირდებოდა. ბ). ბაქო-ბათუმისადმი განსაკუთრებული ინტერესი. გ). ინგლისის მთავრობის დამოკიდებულება დენიკინის „მოხალისეთა არმიისა“ და „ერთიანი რუსეთისადმი“.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

მონოგრაფიები

- გურული, ვ. (2011). *საქართველო–რუსეთის ურთიერთობა (1483-1921)*, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
- ივანიძე, გ. ივანიძე, მ. (2002). *ბრძოლა მესხეთისათვის 1917–1921*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- მალაყელიძე, შ. (2012). *მოგონებები*. თბილისი: გამომცემლობა „პეგასი“.
- ლომსაძე, შ. (1997). *მესხები*. თბილისი: გამომცემლობა „მოლოდინი“.
- ნოზაძე, ვ. (1989). საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი, თბილისი.
- მაზნიაშვილი, გ. (1927). *მოგონებანი, 1917-1925*, თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.
- Dayı, S. Esin (1997). *Elviye-i Selase'de (Kars, Ardahan, Batum) Milli Teşkilatlanma*, Erzurum, Kültür Eğitim Vakfı Yayınları.
- Taner Koltuk, M. Talha Sağlam, S. (2009). *Osmanlı Arşiv Belgelerinde Ardahan*, İstanbul, T.C. Ardahan Valiliği, Kültür Yayınları.
- Tansel, S. (1977). *Mondros'tan Mudanya'ya Kadar*, I. Cilt, Ankara, Milli Eğitim Basımevi.
- Tansel, S. (1978). *Mondrostan Mudanya'ya Kadar*, II. Cilt, Ankara, Milli Eğitim Basımevi.
- Şahin, E. (2002). *Trabzon ve Batum Konferansları ve Antlaşmaları (1917-1918)*, Ankara, Türk Tarih Kurumu Basımevi.
- Sarı, M. (2014). *Türkiye – Kafkasya İlişkilerinde Batum (1917-1921)*, Ankara, Türk tarih Kurumu yayınları.
- Kırzioğlu, M.F. (1953). *Kars Tarihi*, I. Cilt, Taş Çağlarından, Osmanlı İmparatorluğu'na Değın, İstanbul, Işıl Matbaası.
- Kırzioğlu, M. F. (1960). *Miili Mücadelede Kars*, I. Kitap, İstanbul, Hamle Matbaası.
- Atabeg, S. (1919). L'ETAT DU SUD-OUEST DU CAUCASE, Imprimerie H. Chmaivsky, BATOUM, (public par de Comite Central pour la defense des interets de la population du Sud-Ouest Caucase)
- Gökdemir, A. E. (1998). *Cenub-i Garbi Kafkas Hükümeti*, Ankara, Atatürk Araştırma Merkezi Yayınları.
- Hovannisian, R. (1971). *The Republic Of Armenia*, Volume I, (1918-1919), Losangeles.
- Erdoğan, F. (1998). *Türk Elllerinde Hatıralarım*, Ankara, Kültür Bakanlığı yayınları.
- Erdoğan, F. (1954). *Türk Elllerinde Hatıralarım*, Yeni Matbaa, İstanbul.
- Karabekir, K. (1969). *İstiklal Harbimiz*, II. Baskı, İstanbul, Türkiye yayınevi.
- Jaeschke, G. (1971). *Kurtuluş Savaşı ile İngiliz Belgeleri*, Türk Tarih kurumu yayınları, Ankara.
- Квинтадзе, Г.И. (1985). *Воспоминания, 1917-1921*, YMCA-PRESS, Paris.

Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, (1990). Тбилиси, Кооператив „Ниамори“,
 Каземзаде, Ф. (2010). *Борьба за Закавказье (1917-1921)*, SA&CC PRESS, Стокгольм.
 Гаджиев, А. (2004). *Демократические республики юго-западного Кавказа (Карсская и Араз-туркская республики)*, издательство Нурлан, Баку.

სამეცნიერო სტატიები

ყავრელიშვილი, რ. (2002). *ორი თურქული დოკუმენტი „ყარსის მთავრობის“ შექმნის შესახებ*, კრებული ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, III, გამომცემლობა „ქრონოგრაფი“, თბილისი.
 საითიძე, გ. (1999). *გენერალი აბელ (ბალო) მაცაშვილი და მესხეთ-ჯავახეთის საკითხი (1918 წ)*, ქართული დიპლომატია (წელიწდეული), 6, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
 Ural, S. Okur, M. Arslan, N. (2017). *Meşrutiyet'ten Milli Mücadele'ye Elvî-i Selase'de Ermeni Meselesi*, Sancak Yayınları, Ankara.
 Sarı, M. (2015). *Ahıska'da Son Osmanlı İdaresi (1918)*, Karadeniz Araştırmaları (Balkan, Kafkas, Doğu Avrupa ve Anadolu İncelemeleri Dergisi, KaraM, İzmir, Yaz 2015, Say 46.
 Kırzioğlu, M.F. (1968). *Anadolu'da İlk Türk Cumhuriyeti: Cenub-i Garbî Kafkas Cumhuriyeti*, Ekim, Türk Kültürü dergisi, Ankara.
 Çinar, İ. (2024). *Ömer Faik Numanzade'nin Ahıska Türklerinin Haklarını Korumak için Verdiği Mücadelenin Bazı Yönleri*, Ahıska Araştırmaları Dergisi, C. 4, Sayı 1, İstanbul.
 Aydın, N. Ergün, E. (2019). *Cenub-i Garbi Kafkas Hükümeti Ve Bölgedeki Faaliyetleri*, Atatürk ve Türkiye Cumhuriyeti Tarihi Dergisi, II/5, İzmir.
 Arslan, N. Tekir, S. (2010). *Cenub-i Garbi Kafkas Hükümeti'nden TBMM'ye Fahrettin Erdoğan*, Sosyal Bilimler Enstitüsü Dergisi, Sayı 6, Sonbahar Kars.

პრესა

გაზ. „სახალხო საქმე“, (1918). *ახალციხის დღეები*, N282, 16 ივლისი.
 გაზ. „სახალხო საქმე“, (1920). №865, 2 ივლისი.

REFERENCES

Monographs

guruli, v. (2011). *sakartvelo–rusetis urtiertoba (1483-1921)*. Tbilisi: gamomtsemloba „universali“.
 ivanidze, g. ivanidze, m. (2002). *brdzola meskhetisatvis 1917–1921*, tbilisi, tbilisis universit'et'is gamomtsemloba.
 maghlak'elidze, sh. (2012). *mogonebebi*, tbilisi, gamomtsemloba „p'egasi“.
 lomsadze, sh. (1997). *meskhebi*, tbilisi, gamomtsemloba „molodini“.
 nozadze, v. (1989). *sakartvelos aghdgenisatvis brdzola meskhetis gamo*, sakartvelos teat'ris moghvats'eta k'avshiri, tbilisi.
 mazniashvili, g. (1927). *mogonebani, 1917-1925*, sakhelmts'ipo gamomtsemloba, tbilisi.
 Dayı, S. Esin (1997). *Elviye-i Selase'de (Kars, Ardahan, Batum) Milli Teşkilatlanma*, Erzurum, Kültür Eğitim Vakfı Yayınları.

- Taner Koltuk, M. Talha Sağlam, S. (2009). *Osmanlı Arşiv Belgelerinde Ardahan*, İstanbul, T.C. Ardahan Valiliği, Kültür Yayınları.
- Tansel, S. (1977). *Mondros'tan Mudanya'ya Kadar*, I. Cilt, Ankara, Milli Eğitim Basımevi.
- Tansel, S. (1978). *Mondrostan Mudanya'ya Kadar*, II. Cilt, Ankara, Milli Eğitim Basımevi.
- Şahin, E. (2002). *Trabzon ve Batum Konferansları ve Antlaşmaları (1917-1918)*, Ankara, Türk Tarih Kurumu Basımevi.
- Sarı, M. (2014). *Türkiye – Kafkasya İlişkilerinde Batum (1917-1921)*, Ankara, Türk tarih Kurumu yayınları.
- Kırzioğlu, M.F. (1953). *Kars Tarihi*, I. Cilt, Taş Çağlarından, Osmanlı İmparatorluğu'na Değin, İstanbul, Işıl Matbaası.
- Kırzioğlu, M. F. (1960). *Miili Mücadelede Kars*, I. Kitap, İstanbul, Hamle Matbaası.
- Atabeg, S. (1919). L'ETAT DU SUD-OUEST DU CAUCASE, Imprimerie H. Chmaivsky, BATOUM, (public par de Comite Central pour la defense des interets de la population du Sud-Ouest Caucase)
- Gökdemir, A. E. (1998). *Cenub-i Garbi Kafkas Hükümeti*, Ankara, Atatürk Araştırma Merkezi Yayınları.
- Hovannisian, R. (1971). *The Republic Of Armenia*, Volume I, (1918-1919), Losangeles.
- Erdoğan, F. (1998). *Türk Elllerinde Hatıralarım*, Ankara, Kültür Bakanlığı yayınları.
- Erdoğan, F. (1954). *Türk Elllerinde Hatıralarım*, Yeni Matbaa, İstanbul.
- Karabekir, K. (1969). *İstiklal Harbimiz*, II. Baskı, İstanbul, Türkiye yayınevi.
- Jaeschke, G. (1971). *Kurtuluş Savaşı ile İngiliz Belgeleri*, Türk Tarih kurumu yayınları, Ankara.
- Kvinitadze, G.I. (1985). *Vospominaniya, 1917-1921*, YMCA-PRESS, Paris.
- Dokumenty i materialy po vneshnej politike Zakavkaz'ja i Gruzii, (1990). Tbilisi: Kooperativ „Niamori“,
- Kazemzade, F. (2010). *Bor'ba za Zakavkaz'e (1917-1921)*, CA&CC PRESS, Stokgol'm.
- Gadzhiyev, A. (2004). *Demokraticheskie respubliki jugo-zapadnogo Kavkaza (Karsskaja i Araz-tjurkskaja respubliki)*, izdatel'stvo Nurlan, Baku.
- Scientific articles**
- qavrelishvili, r. (2002). ori turkuli dok'ument'i „ qarsis mtavrobis“ shekmnis shesakheb, k'rebuli akhlo aghmosavleti da sakartvelo, III, gamomtsemloba „kronograpi“, tbilisi.
- saitidze, g. (1999). generalı abel (balo) maqashvili da meskhet–javakhetis sak'itkhi (1918 ts'), kartuli dip'lomat'ia (ts'elits'deuli), 6, tbilisis sakhelmts'ipo universit'et'is gamomtsemloba, tbilisi.
- Ural, S. Okur, M. Arslan, N. (2017). *Meşrutiyet'ten Milli Mücadele'ye Elvie-i Selase'de Ermeni Meselesi*, Sancak Yayınları, Ankara.
- Sarı, M. (2015). *Ahıska'da Son Osmanlı İdaresi (1918)*, Karadeniz Araştırmaları (Balkan, Kafkas, Doğu Avrupa ve Anadolu İncelemeleri Dergisi, KaraM, İzmir, Yaz 2015, Say 46.
- Kırzioğlu, M.F. (1968). *Anadolu'da İlk Türk Cumhuriyeti: Cenub-i Garbî Kafkas Cumhuriyeti*, Ekim, Türk Kültürü dergisi, Ankara.
- Çınar, İ. (2024). *Ömer Faik Numanzade'nin Ahıska Türklerinin Haklarını Korumak için Verdiği Mücadelenin Bazı Yönleri*, Ahıska Araştırmaları Dergisi, C. 4, Sayı 1, İstanbul.
- Aydın, N. Ergün, E. (2019). *Cenub-i Garbi Kafkas Hükümeti Ve Bölgedeki Faaliyetleri*, Atatürk ve Türkiye Cumhuriyeti Tarihi Dergisi, II/5, İzmir.

Arslan, N. Tekir, S. (2010). *Cenub-i Garbi Kafkas Hükümeti'nden TBMM'ye Fahrettin Erdoğan*, Sosyal Bilimler Enstitüsü Dergisi, Sayı 6, Sonbahar Kars.

Press

gaz. „sakhalkho sakme“, (1918). akhaltsikhis dgheebi, N282, 16 ivlisi.

gaz. „sakhalkho sakme“, (1920). №865, 2 ivlisi.